ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 30 ოქტომბერი, 2020 №227 (8491) ფასი: 60 თეთრი

პროკურორი სადრაძე: „მელაშვილის და ილიჩოვას ადვოკატები სრულად გაეცნენ საქმის მასალებს“

„ივანიშვილი შემალულია, შედეგებს უყურებს და შესაძლოა გაგვექცეს“

ლევან ბერძენიშვილი: „ოცნებას“ დაპირებაც კი არ გაუცია, ამაშიც კი უნიათოები აღმოჩნდნენ... მაჟორიტარები უმრავლესობისკენ გაიქცევიან“

„საბურთალოზე „ოცნებას“ ასობით მკვდარი სულები ჰყავს მიწერილი“

გურამ ჩალაგაშვილი: „ცესკოს ყოფილი თავმჯდომარეები თამარ ჟვანიასთან შეხვედრას ვითხოვთ“

„ივანიშვილს ერთ რამეს ვურჩევ, თავის გუნდში ორი ადამიანი გააჩუმოს“

სოსო ცინცაძე: „ერთი არჩევნები მაინც ჩავატაროთ ისე, რომ არც დამარცხებულს არ ჰქონდეს პრეტენზიები“

ივანიშვილმა შეგნებულად დატოვა ნაცმოძრაობა ძირითად ოპოზიციურ ძალად



ბუბა კიკაბიძე: „თბილისო რუსულად იმიტომ ვიმღერე, **რომ გაეგოთ**, რა ლამაზი ქვეყანა ვართ“

ასლან ბჟანია მორიგი სამუშაო ვიზიტით მოსკოვშია

ოკუპირებულ რეგიონში დიდი მღელვარებაა აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეებისთვის უძრავი ქონების შესყიდვაზე

ბადრი ესებუას გადაადგილების ამსახველი კადრები გადაღებულია 6 ოქტომბერს და არა 27 ოქტომბერს

ესებუა გადაღებულია სამეგრელოს სხვა მუნიციპალიტეტში და არა ზუგდიდში

ISSN 1987-9385

2 მიხეილ სააკაშვილი: „გაყალბებაზე პასუხი იქნება ხალხის მიერ ხელისუფლების ხელში აღება“

2 კახა კალაძე: „არასდროს დაბრუნდება „სავეცკაია გრუზია“

5 ბადრი ესებუას მამა: „გამოდი, შვილო, ჩაბარდი პოლიციას“

6 ნიცაში ნოტრ-დამის ტაძარში თავდამსხმელმა 3 კაცი მოკლა

„ივანიშვილი შემალულია, შედეგებს უყურებს და შესაძლოა გაგვექცეს“

ლევან ბერძენიშვილი: „ოცნებას“ დაპირებაც კი არ გაუცია, ამაშიც კი უნიათოები აღმოჩნდნენ... მაჟორიტარები უმრავლესობისკენ გაიქცევიან“

იაგო ნაცვლიშვილი

როგორ აფასებს საარჩევნო კამპანიას? რა ელოდება საქართველოს? რა მოლოდინი აქვს, ვინ მოიგებს არჩევნებს — ხელისუფლება თუ ოპოზიცია? სად არის ივანიშვილი? ეშინია თუ არა ხელისუფლებას? და რატომ აკრიტიკებს ექიმთა სამეულს? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი საუბრობს.

– მიიწურა საარჩევნო კამპანია და როგორ აფასებთ მას? გამოირჩა წლევანდელი კამპანია რამით თუ ისევ იყო პოლარიზაცია, ძალადობა და ა.შ. როგორია თქვენი დაკვირვება?

– უპირველეს ყოვლისა, იმით გამოირჩა, რომ ფაქტობრივად არ ჩაატარა საარჩევნო კამპანია მმართველმა პარტიამ. ასეთი რამე მე საერთოდ არ მინახავს. ერთი დაპირებაც კი არ მიუცია ხალხისთვის. ეტყობა, რაღაცა სხვა რამის იმედი აქვთ.

– სხვა რა შეიძლება იყოს?

– სხვა შეიძლება იყოს გაყალბება, მოსყიდვა და ა. შ. მაგის მეტი რა რესურსი აქვს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ამაშიც გამოიხატა ის, რომ ისინი ძალიან უნიათონი აღმოჩნდნენ. აღარ ეყოთ ენერგია და ინანებენ, რომ არ ჩაატარეს კამპანია. მის გარეშე მობილიზაცია ძალიან ძნელია.

სხვა კომპონენტებს რაც შეეხება, ჩვეულებრივად მიდიოდა კამპანია, როგორც საქართველოში უნდა მიდიოდეს. ანუ ძალადობის ფონზე, სახელისუფლებო თავხედობის ფონზე და კოვიდის გამოყენების შანსებზე იყო აგებული. განსაკუთრებით იმ ადამიანების, რომელთაც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უარი უთხრა საარჩევნო ხმის განხორციელების უფლებაზე და ასეთი შესაძლოა რამდენიმე ათასიც კი იყო, რასაც ძალიან სერიოზულად ინანებენ. ჩემი აზრით, ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული და მიკვირს, რატომ ჰგონია თამარ ჟვანიას, რომ ისინი გაიმარჯვებენ, ეს ჰგონიათ მათ. ხომ იცის, რომ თუ ოპოზიცია გაიმარჯვებს, ამაზე პასუხს აგებინებენ?! იმიტომ, რომ ეს ძალიან სერიოზული ამბავია. ადამიანს წაართვა უფლება მარტო იმიტომ, რომ სახელმწიფოს უნიათობის გამო კოვიდთან დაკავშირებით. ეს ორმაგი დანაშაულია.

მთლიანობაში მოსალოდნელია ძალიან მძიმე დღეები. აქ აშკარად გამოკვეთილი გამარჯვებული არ იქნება. ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, პროპორციულ ნაწილში ოპოზიციის ჯამი აჯობებს თუ ხელისუფლების. მაჟორიტარებიდან 30-ვე ადამიანი გაიქცევა იქ, სადაც საჭიროა. ანუ, სადაც უმრავლესობას დაინახავენ. ჩვენ მაჟორიტარების ზნეობა და პრინციპულობა ბევრჯერ გვაქვს ნანახი. განსაკუთრებით სახელისუფლებო მაჟორიტარები. იქით მიდიან, საითაც ხელისუფლებაა. ამიტომ, სწორედ ეს მოხდება ახლა. მთავარია პროპორციულ არჩევნები და ვისაც ექნება უპირატესობა.

– თქვენ როგორ ფიქრობთ, ვის მეტი შანსი აქვს – ოპოზიციას თუ ხელისუფლებას თავისი რესურსებით?

– შანსები დაახლოებით თანაბარია.

– ზოგადად რა მოლოდინი გაქვთ ამ არჩევნებისგან?

– არეულობა იქნება. იქნება 1992 წლის პარლამენტის მსგავსი ვითარება, რომელმაც, სხვათა შორის, მიიღო საქართველოს კონსტიტუცია. ანუ, იმის მიუხედავად, რომ ძალიან მრავალპარტიული, მრავალფეროვანი და ხმაურიანი იყო, ის ამავე დროს იყო ყველაზე უკეთესი პარლამენტი. ანუ, ჩვენ უკეთესი გველოდება. დღეს, როდესაც იდიოტების უმრავლესობაა, ასეთი ნამდვილად ვერ იქნება. იქ, სადაც კობახიძეა ვარსკვლავი, ასეთი რამე ვერ იქნება. ამიტომ, კობახიძე იქნება თუ სხვა, მათ მოუწევთ სხვების აზრის გათვალისწინება. საკონსტიტუციო უმრავლესობა არავის ექნება, ეს ყველასთვის ცხადია და ყველა საკითხზე იქნება პრობლემა.

ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, მოუწევთ თანამშრომლობა. ისეთ პარტიებს და პერსონებს მოუწევთ ერთმანეთთან თანამშრომლობა, ერთმანეთი საერთოდ რომ არ უყვართ.

– ბოლო დღეებში განსაკუთრებით ვნახეთ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების განცხადებები, რომელიც სიძულვილის ელემენტებს შეიცავს და რადიკალიზაციას ისახავს მიზნად. საფრთხეს გრძნობენ თუ რატომ?

– საფრთხე, რა თქმა უნდა, იგრძნეს და მე მგონი სწორად იგრძნეს, მაგრამ თვითონ არ ჩაატარეს კამპანია. 10 მილიარდი აქვთ ფული, მსოფლიოსგან ნაჩუქარი, რომელიც არაფერში არ დახარჯეს. მოქალაქეებს არ დაახარჯეს, პანდემიას ვერ გაუმკლავდნენ, მინისტრი არაკომპეტენტურია. გაირკვა, რომ ექიმები სათანადოდ ვერ მოქმედებენ. იმიტომ კი არა, რომ კომპეტენცია აკლიათ, არამედ იმიტომ, რომ ხელისუფლებასთან თანამშრომლობენ. სამეულზე მაქვს ლაპარაკი, რომელთა კომპეტენციაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ პატიოსნებაში ეჭვიც არ მეპარება ნამდვილად. პირდაპირ გეტყვით, უპატიოსნები არიან. თანამშრომლობენ იმ ხელისუფლებასთან, რომელთაც არ შეუძლიათ, რომ შენობა გამოიყონ და ჯანდაცვას მიხედონ. ამ ფონზე ჯანდაცვაში ხარჯებს ამცირებენ, ეს მაშინ, როდესაც ფული ჯანდაცვაში აქვთ ნაშოვნი.

ასეთი ქურდი და მამაძაღლი ხელისუფლება დიდი ხანია არ გვყოლია. შევარდნაძის ხელისუფლების ყველაზე უარესი წლები გამახსენა. ის, რომ ესენი ძალიან აგრესიულად გამოდიან ხოლმე, ეს პირდაპირი ნიშანია იმისა, რომ შიში ჩაუდგათ. სწორად ეშინიათ. იმიტომ, რომ ის უპირატესობა, რაც ჰქონდათ და რითაც ისარგებლეს, მეტი აღარ ექნებათ. რომც მოიგონ არჩევნები ერთი და ორი ხმით, ხომ იცით, რომ ის ორი ხმა ძალიან მალე დაეკარგებათ.

– ივანიშვილი ფაქტობრივად არ გამოჩენილა ამ კამპანიის დროს. სად არის?

– ივანიშვილი არის ვირთხა და მშიშარა, ამიტომ ახლა ის შემალულია. უყურებს შედეგებს და მერე შეიძლება გაგვექცეს საერთოდ. გამორიცხული არაფერია. ივანიშვილისნაირი ადამიანი საქართველოს ხელისუფლებაში რომ იყო, ეს უკვე ისტორიული ტრაგედიაა. ივანიშვილი აღარ იქნება, მაგრამ რომ იყო, ეს უკვე ძალიან სერიოზული ნაკლია.

– მაშინ რატომ იყავით მასთან ერთად კოალიციაში?

– იმიტომ, რომ არ უნდა ჩაცემენტებულიყო ის ხელისუფლება. არ შეიძლება ხელისუფლებები იყოს 20, 40 და 50 წელი. ივანიშვილმა მაშინ თავისი როლი შეასრულა და მერე გაფუჭდა. ასე ხდება ხოლმე. იმიტომ ვიყავით, რომ მაშინ სააკაშვილი არ იყო მართალი. ახლა იმიტომ ვართ, რომ ესენი არ არიან მართლები. ასე მარტივად არ არის საქმე და ასე მარტივად რომ იყოს საქმე, რომ ივანიშვილი ყოველთვის კარგია, ან ყოველთვის ცუდია, ან სააკაშვილი... ასე არ არის ხოლმე პოლიტიკაში.

რატომ ვიყავით და ეს კითხვა ჰკითხეთ იცით ვის? – ჩერჩილს. რატომ იყო ის მეორე მსოფლიო ომის დროს სტალინთან, რომელიც მთელი ცხოვრება აგინებდა სტალინს. იმიტომ, რომ მოიძებნა საერთო ინტერესი. მე თუ მკითხავთ, არ არის სერიოზული კითხვა, რომ პოლიტიკაში ვინ, სად და რატომ იყო. ნაკლებად საინტერესოა. უფრო საინტერესოა, რა და როგორ იქნება.

მიხეილ სააკაშვილი: „გაყალბებაზე პასუხი იქნება ხალხის მიერ ხელისუფლების ხელში აღება“

– მინდა ვუთხრა ივანიშვილს, გადმოიხედე ზემოდან და კარგად შეხედე ამ ხალხს, არ წაგიცდეს ხელი გაყალბებაზე, რადგან გაყალბებაზე პასუხი იქნება ძალიან მკაცრი.

ამის შესახებ საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ 29 ოქტომბერს ორგანიზებულ აქციაზე მიმართვისას განაცხადა.

მან ბიძინა ივანიშვილი გააფრთხილა, რომ არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, პასუხს პირადად და ძალიან მკაცრად გასცემს.

– პასუხი არ იქნება უკან დახევა და დაჩმორება. გაყალბებაზე პასუხი იქნება ღირსება, შეტევა და ხალხის მიერ ხელისუფლების ძალიან სწრაფად ხელში აღება. პირადად, პასუხი გაგეცემა ძალიან მკაცრად, – მიმართა სააკაშვილმა ივანიშვილს.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის თქმით, მას წმინდა გიორგი უმაგრებს ზურგს.

– რამდენიმე საათი გვაშორებს გამარჯვებას. წყნარად გადაიბარეთ ხელისუფლება, შემდეგ გადავაბაროთ ხელისუფლება ქართველების ახალ თაობას, რომელიც თავისუფლებაში დაიბადა. მივხედავთ ჩვენს ქვეყანას, ჩვენი ქვეყანა საუკეთესო მომავალს იმსახურებს. წმინდა გიორგი, რომელიც მიმაგრებს ზურგს, წმინდა გიორგი, რომელიც დაგყურებთ ზემოდან, თქვენ დაგყურებთ ერთი მხრივ, შეშინებული და დამფრთხალი ივანიშვილი და მეორე მხრივ, წმინდა გიორგი. ჩვენი გზა აღარ არის ივანიშვილის გზა, – განაცხადა სააკაშვილმა.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის თქმით, ის თანამდებობისთვის არ იბრძვის.

– ჩემი ამოცანა არ არის ძალაუფლებისთვის ბრძოლა, საერთოდ არ მაინტერესებს არც ერთი კაბინეტი“ – განაცხადა სააკაშვილმა.

ბუბა კიკაბიძე: „თბილისო რუსულად იმიტომ ვიმღერე, რომ გაეგოთ, რა ღამაზი ქვეყანა ვართ“

„გაერთიანებული ოპოზიცია – ძალა ერთობაშიას“ პირველმა ნომერმა, მომღერალმა ბუბა კიკაბიძემ განმარტა, რომ ოპოზიციის აქციაზე სიმღერა „თბილისოს“ ნაწილი რუსულად იმიტომ შეასრულა, რომ მათ გაეგოთ, რა ღამაზი ქვეყანა ვართ.

ბუბა კიკაბიძეს განმარტება მას შემდეგ მოუხდა, რაც სოციალურ ქსელში მის მიერ რუსულად ნამღერ „თბილისოს“ უარყოფითი კომენტარები მოჰყვა.

– პირველად ვდგავარ ტრიბუნასთან, ამდენი ხალხის წინაშე, ახლა დამირეკეს, რატომ იმღერე თბილისოს ორი კუბლეტი რუსულადო. მე ვუთხარი, იმიტომ, რომ გაეგოთ, როგორი ღამაზი ქვეყანა ვართ ჩვენ, – განაცხადა ბუბა კიკაბიძემ.

ნაციონალური მოძრაობის წევრმა ზაალ უდუმაშვილმა განაცხადა, რომ ის ვერაფერს ცუდს ვერ ხედავს იმაში, რაც სცენიდან მოისმინა.

– მე ნამდვილად არ ვიცოდი ბატონი ბუბას რეპერტუარი, მაგრამ ვერაფერ ცუდს ვერ ვხედავ იმაში, რაც მე მოვისმინე სცენიდან. ეს სიმღერა თავიდანვე შექმნილი იყო ასე. ეს არის ცნობილი სიმღერა, რომელიც ორ ენაზეა. გაიგონ ოკუპანტებმა, როგორ კარგ ქალაქში ვცხოვრობთ. ასე რომ, ეს არ არის პრობლემა, – განაცხადა ზაალ უდუმაშვილმა.

1 ნოემბრიდან კომუნალური გადასახადების ანაზღაურება იწყება

პირველი ნოემბრიდან ოთხი თვის განმავლობაში კომუნალური გადასახადების ანაზღაურება იწყება.

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომის დაწყებამდე განაცხადა.

გიორგი გახარიას თქმით, ყველა ოჯახს, რომელსაც ექნება 200 კილოვატამდე მოხმარებული ელექტროენერგია, ასევე 200 კუბურ მეტრამდე გაზის მოხმარება, კომუნალური გადასახადები აუნაზღაურდება.

– მოგეხსენებათ, მთავრობის ანტიკრიზისული მხარდაჭერის გეგმის მესამე ტალღა, რომელიც ჩვენ უკვე დავაანონსეთ, ეს ტალღა მოიცავს როგორც ბიზნესის მხარდაჭერას, ასევე სოციალურ მხარდაჭერას ცალკეული ჩვენი მოქალაქეების, იწყება პირველი ნოემბრიდან, როგორც უკვე ვთქვით, ეს გახლავთ კომუნალური გადასახადების ანაზღაურება ჩვენი მოქალაქეებისთვის, რომელიც მოიცავს ზამთრის პერიოდს – ეს იქნება ნოემბრიდან ოთხი თვე და ეს შეეხება როგორც წინა ეტაპზე, თითოეულ ოჯახს, რომელსაც ექნება 200 კილოვატამდე მოხმარებული ელექტროენერგია, ასევე 200 კუბურ მეტრამდე გაზის მოხმარება და ასევე წყლის და დასუფთავების ანაზღაურება.

ბევრ ჩვენს მოქალაქეს მსგავსი მხარდაჭერა შეიძლება არ სჭირდება და უკვე დღეიდან, მათ შესაძლებლობა ექნებათ, საკუთარი განაცხადის საფუძველზე უარი განაცხადონ მთავრობის ამ მხარდაჭერაზე, – აღნიშნა გიორგი გახარიამ.

კახა კალაძე: „არასდროს დაბრუნდება „სავეცკაია გრუზია“

– არასდროს დაბრუნდება „სავეცკაია გრუზია“, ჩვენ ამას არ დავუშვებთ, – ასე გამოეხმაურა თბილისის მერი, პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ გენერალური მდივანი კახა კალაძე ნაციონალური მოძრაობის აქციაზე ბუბა კიკაბიძის მიერ „თბილისოს“ ნაწილის რუსულ ენაზე შესრულებას.

– დღეს ჩვენმა ოპონენტებმა გამართეს აქცია. ცხრაწლიანი სისხლიანი რეჟიმის ნოსტალგიის შემდეგ ასე თუ დამძიმდებოდნენ და საბჭოთა ნოსტალგია შეიპყრობდათ, ნამდვილად არ მეგონა. თუმცა, არჩევნების წინ საბოლოო ლუსტრაცია მოახდინეს.

მე ერთი რამ შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოში ვერასდროს და არასდროს დაბრუნდება მოძალადე ხელისუფლება. ისე, როგორც არასდროს დაბრუნდება „სავეცკაია გრუზია“. ჩვენ ამას არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ, – განაცხადა კახა კალაძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„საბურთალოზე „ოცნებას“ ასობით მკვდარი სულები ჰყავს მიწერილი“

გურამ ჩალაგაშვილი: „ცესკოს ყოფილი თავმჯდომარეები თამარ ჟვანიასთან შეხვედრას ვითხოვთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გამარჯვებული საქართველოს ერთ-ერთი ლიდერი გურამ ჩალაგაშვილი პასუხობს.

– ბატონო გურამ, ხვალ უკვე არჩევნებია და არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, გვესმის, რომ ცსკ-ოსთან მიმართებაში სერიოზული კითხვები და პრეტენზიებია. რა ხდება? რა დარღვევებს უშვებს ცსკ-ო?

– პირველ რიგში გეტყვით იმას, რომ გუშინ ჩვენ გვქონდა მცდელობა, ცსკ-ოს ყოფილ თავმჯდომარეებს, მოქმედ თავმჯდომარესთან მოგვეწყო შეხვედრა და საკმაოდ პრობლემატურ თემებსა და კონკრეტულ საკითხებზე გვესაუბრა. თუმცა გაურკვეველი მიზეზით, რომ ჩვენ კი ვართ ყოფილი თავმჯდომარეები, მაგრამ ახლა ვართ კანდიდატები, სიებში ვართ და ასე შემდეგ, ასეთ შემთხვევაში შეხვედრის უფლება არა გვაქვსო. ჩვენ ვღელავთ ქვეყნის ბედზე, გვაინტერესებს, როგორ ჩატარდება არჩევნები, მაგრამ მივიღეთ უარი.

– კანონი გვიკრძალავსო და ამ მოტივით მიიღეთ უარი?

– დიახ. ასევე, თქვენ რომ შეგხვდეთ, მერე სხვები მოინდომებენ და ყველას ვერ შეგხვდებითო. არ მესმის, ეს რა საბაბია. ჩვენ კიდევ ერთხელ შევუთვლით ქალბატონ თამარ ჟვანიას, რომ გამონახოს დრო და ნახევარი საათი მაინც დაგვითმოს იმისათვის, რომ კონკრეტული პასუხები მივიღოთ იმ პრობლემებზე, რა პრობლემებიც არის რეალურად დღეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ საღამოს გავმართავთ ბრიფინგს და ღიად და საჯაროდ ვიტყვით იმას, რის გაკეთებასაც ისინი აპირებენ.

– რის გაკეთებას აპირებენ და რეალურად რა პრობლემებია?

– პრობლემები არის უამრავი. 2006 წელს ერთხელ და სამუდამოდ ეს პრობლემა მოგვარდა, მკვდარი სულები და გარდაცვლილი ადამიანები სიაში აღარ არსებობდა. ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ უმაღლესი შეფასება დაგვიწერა. მას შემდეგ 14 წელი გავიდა და წელს ვხედავთ, რომ მკვდარი სულებით გაავსეს სიები. კონკრეტულად საბურთალოზე, სადაც ყველაზე მეტად უჭირს „ოცნებას“, ასობით ადამიანი ჰყავთ მიწერილი.

– იმის თქმა გინდათ, რომ ასე აპირებენ არჩევნების გაყალბებას?

– კი ბატონო, ამის მცდელობა აქვთ. „ოცნების“ აქტივისტებს მიწერილი ყავთ 10-15 ადამიანი. ხდება იმის მცდელობა და განმეორება, რაც 2003 წელს შევარდნაძის ხელისუფლებამ გააკეთა. თუმცა, მაშინ რაც მოხდა, ყველას კარგად გვახსოვს. ჩვენ გვინდა ჩატარდეს დემოკრატიული და ნორმალური არჩევნები და ყველაფერი დასრულდეს ისე, როგორც ქართველი ხალხის ნება იქნება. თუ გაყალბებას შეეცდება ეს ხელისუფლება, ამაზე მიიღებენ საკადრის პასუხს.

– კიდევ ერთი პრობლემატური საკითხია, რომელიც კარანტინში და თვითიზოლაციაში მყოფ ადამიანებს უკავშირდება. გადაწყდა, საბოლოოდ როგორ შეძლებენ ხმის მიცემას?

– ეს დადგენილება პირადად მე გავასაჩივრე სასამართლოში. თუმცა, ცესკომ მხოლოდ ოთხი საათით გააგრძელა ეს ვადა, რა დროსაც ამომრჩეველს დარეკვა და დარეგისტრირება შეეძლო, თუმცა 2-3 დღითაც თავისუფლად შეიძლებოდა ამის გაგრძელება. დღეს არის ასეთი მოცემულობა, რომ ადამიანებს, რომლებსაც 26 ოქტომბრის ორი საათის შემდეგ დაუდგინდათ კორონა ვირუსი, ან გადავიდნენ თვითიზოლაციაში ან გადაიყვანეს კარანტინში, ამ ადამიანებს, იმ დადგენილებით, რომელიც ცსკ-ომ მიიღო, ეკრძალებათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ასევე არიან ადამიანები, რომლებიც ცსკ-ომ სპეცსიებში გადაიყვანა და თუ ეს ადამიანები არჩევნებამდე დატოვებენ საკარანტინე ზონას და მივლენ საარჩევნო უბანზე, ხმის მიცემას მაინც ვერ შეძლებენ.

– ეს რამდენად სამართლიანია?

– რომელ სამართალზე ვლაპარაკობთ?! ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება აურიონ სიტუაცია და გააყალბონ არჩევნები. ადამიანებს ართმევენ კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებას. ყველაფერზე აწერენ ხელს და ყველაფერზე მიდიან. იმედია, რომ სულ რამდენიმე დღეში დასრულდება ეს რეჟიმი. „ქართულმა ოცნებამ“ დაგვაბრუნა შევარდნაძის ეპოქაში და იმედია, ქართველი ხალხი ამ ეპოქას მალე დაასრულებს. ცვლილებების დროა და ეს ცვლილებები მალე და უმტკივნეულოდ უნდა მოხდეს.

როგორ განაწილდება მანდატები პარლამენტში პარტიებს შორის

31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე პარტიებისთვის 1%-იანი საარჩევნო ბარიერი მოქმედებს. ბლოკებისთვის კი ბარიერი მასში შემავალი სუბიექტების რაოდენობისა და ბარიერის ნამრავლით არის განსაზღვრული, რაც იმას ნიშნავს, რომ რამდენი პარტიაც არის ბლოკში გაერთიანებული, ბარიერიც იმდენი პროცენტია.

რაც შეეხება საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული მანდატების დადგენის წესს, საარჩევნო კანონმდებლობა ასეთ ფორმულას ითვალისწინებს:

– პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული ნამდვილი ხმების რაოდენობა 120-ზე მრავლდება და ყველა იმ პოლიტიკური პარტიისა და საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული ნამდვილი ხმების რაოდენობათა ჯამზე იყოფა, რომლებმაც საარჩევნო ბარიერი გადალახეს. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა.

გაუნაწილებელი მანდატები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, თანმიმდევრობით, უდიდესი ნაშთის მქონე პარტიებსა და ბლოკებზე განაწილდება.

ამასთან, 2020 წლის პარლამენტისთვის ე.წ. „ჩამკეტი სისტემა“ მოქმედებს, რომლის მიხედვით, თუკი პარტია პროპორციული სისტემით ხმების 40%-ს და უფრო ნაკლებს მიიღებს, უმრავლესობას ვერ დააკომპლექტებს.

„ჩამკეტი მექანიზმის“ გათვალისწინებით, მანდატების საერთო რაოდენობაში, პარტიის მიერ პროპორციულ და მაჟორიტარულ სისტემით მიღებული მანდატების პროცენტული წილი, ამავე პარტიის მიერ პროპორციული სისტემით მიღებული ხმების პროცენტული მაჩვენებლისა და ამ მაჩვენებლის ერთი მეოთხედის ჯამს არ უნდა აღემატებოდეს.

285 დევნილ ოჯახს საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში გადაეცა

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ქვეყნის მასშტაბით, კიდევ 285 დევნილ ოჯახს საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში გადაეცა.

ამის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციაშია ნათქვამი.

მისივე ინფორმაციით, 2013 წლიდან დღემდე, საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში, 22.655 დევნილი ოჯახი განსახლდა.

„იძულებით გადაადგილებული ოჯახები სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ შენობებში წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ, შესაბამისად მათ არ ჰქონდათ საკუთრებისა და სტაბილურობის განცდა. დაკანონების პროცესი, დევნილებს შესაძლებლობას აძლევს, საკუთრებაში გადაცემული საცხოვრებელი ფართები თავისი სურვილის შესაბამისად განკარგონ.

დევნილებისთვის საცხოვრებელი ფართების დაკანონება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

მიმდინარე წელს, ჯამში, მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში 1.000-ზე მეტ იძულებით გადაადგილებულ ოჯახს გადაეცემა. სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში კი, ჯამში 2.000-ზე მეტი იძულებით გადაადგილებული ოჯახი დაკმაყოფილდება საცხოვრებლით“ – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

„ივანიშვილს ერთ რამეს ვურჩევ, თავის გუნდში ორი ადამიანი გააჩუმოს“

სოსო ცინცაძე: „ერთი არჩევნები მაინც ჩავატაროთ ისე, რომ არც დამარცხებულს არ ჰქონდეს პრეტენზიები“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, „ქართული ოცნება“, მისი სპიკერი კობახიძე აცხადებს, რომ რადიკალური ოპოზიცია რევოლუციისთვის ემზადება. არჩევნების შემდეგ როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?

– კობახიძეს ერთი რამე დაავიწყდა: საბურავებსაც აგროვებენ. ოპოზიცია არც ისე სულელია და არც ისე გაგიჟებულა, რომ ასეთი გაუჭრელი კოზირის კარტი საჩუქრად გადასცეს „ოცნებას“, რასაც შეიარაღებული პროვოკაცია ჰქვია. მაშინ უკვე, მთელი მსოფლიო საზოგადოების, იმ პოლიტიკური ძალების, რომლებიც საქართველოში დემოკრატიულ არჩევნებს მოითხოვენ და კიდევ სწამთ ქართული პოლიტიკური სპექტრის, პოზიცია მომენტალურად შეიცვლება.

არჩევნების შემდეგ პროტესტი და შეიარაღებული აჯანყება და ამბოხი სრულიად სხვადასხვა რამ არის. ბელორუსიის მაგალითზე რომ ყოფილიყო მითითება, ეს სხვა იქნებოდა. ბელორუსის ოპოზიცია მშვიდობიანად აპროტესტებს არჩევნების გაყალბებას და ამიტომ მთელი მსოფლიო დგას მის გვერდით. ვერ გეტყვით, თუნდაც კობახიძეს რატომ ჰგონია ოპოზიციის ლიდერები ასეთი იდიოტები.

არჩევნების გაყალბება საქართველოსთვის, შევარდნაძიდან დაწყებული, სააკაშვილით დამთავრებული, უცხო ხომ არ არის?! თუნდაც ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური საუკუნეების წინ ხომ არ ყოფილა, ხომ ვნახეთ საკუთარი თვალებით, რაც მოხდა და როგორც მოხდა.



ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ ოპოზიცია ეჭვებს გამოთქვამდეს და არჩევნების სამართლიანად ჩატარებისკენ მოუწოდებდეს ხელისუფლებას. მე ვერ გეტყვით, შეიძლება ოპოზიციის ეს ეჭვებია სრულიად უადგილო და უსამართლო, მაგრამ მათ არ სწამთ, რომ ხელისუფლება პატიოსნად ჩაატარებს ამ არჩევნებს. ამის ყოველდღიური გამოცდილება არსებობს და აქედან გამომდინარეობს ეს ეჭვებიც.

– თუმცა, ოპოზიცია აცხადებს, რომ საკუთარ ხმებს დაიცავს და არავის მისცემს არჩევნების გაყალბების შესაძლებლობას.

– რა თქმა უნდა, ნებისმიერი დაიცავს საკუთარ ხმებს. რა „ოცნება“ არ დაიცავს მის ხმებს?! ამიტომ, ცარიელ ადგილზე არავითარ პროტესტს არ ველოდები, ეს გამორიცხულია, რადგან შეუძლებელია.

მთავარი მაინც ის არის, რომ ხელისუფლებამ არავითარი საბაბი არ უნდა მისცეს არავის, რომ არჩევნების ლეგიტიმურობას რაიმე სახის საფრთხე არ შეექმნას. სიმართლე გითხრათ, რაც ახლა ხდება, საბაბი კი არა, შეიძლება მეტიც კი იყოს, ქვეყანაში არსებულ ეპიდვითარებას ვგულისხმობ. რამდენიმე ათას ადამიანს, რომელიც იზოლაციაში იმყოფება, ხმის მიცემის უფლება ეზღუდება, რაც სრულიად დაუშვებელია. ასეთ მნიშვნელოვან არჩევნებში ადამიანები უბრალოდ საკუთარი არჩევანისა და მოქალაქეობრივი ვალდებულების მიღმა რჩებიან.

ცესკოს თავმჯდომარისგან, ქალბატონ ჟვანიასგან მე ვერ მოვისმინე არგუმენტები იმ ბრალდების გასაქარწყლებლად, რომ რამდენიმე ათეული ათასი ამომრჩეველი თავის კონსტიტუციურ უფლებას კარგავს. რატომ ვერ უზრუნველყო ცესკომ საქართველოს ამ მოქალაქეებისთვის ხმის მიცემის უფლება? რა პასუხი აქვს მას ამ კითხვაზე. ჩვენ პასუხი არ ვიცით. ამიტომ, ეს ყველაფერი, რასაკვირველია, გროვდება და უნდობლობას ქმნის.

ხელისუფლებამ უნდა იცოდეს ერთი რამე, რომ მან ანგარიში უნდა გაუწიოს ამ ლეგიტიმურ კითხვებსა და უკვე არსებულ უნდობლობის ფაქტორს. მათ ხომ კარგად იციან, რომ ეს უნდობლობა გუშინ და გუშინწინ არ წარმოქმნილა. ისე, საქართველოში ხელისუფლებისა და ოპოზიციის უნდობლობა 30 წელს ითვლის. ეს არ არის მხოლოდ „ოცნების“ მოღვაწეობის შედეგი.

ცივილიზებული მსოფლიოს გამოცდილება კი სრულიად საწინააღმდეგოა. მაგალითად, ჩვენს რეალობასთან შედარებით, ანეკდოტია ტრამპის შვილის მიერ ორი დღის წინ გაკეთებული ოფიციალური განაცხადა: მამაჩემს არჩევნები უნდა მოპარონ! ჩვენთან ეს ხომ წარმოუდგენელია. ტრამპი აცხადებს, რომ ფოსტით ხმის მიცემა, როგორც ხდება ამერიკაში, არჩევნების გაყალბების ყველაზე კარგი საშუალებაა. ამას ამბობს მოქმედი პრეზიდენტი, რომლის ხელშიც არის მთელი სახელმწიფო თუ სხვა ბერკეტი. ჩვენთვის ეს ხომ უცხოა. ჩვენ სხვა ქვეყანაში ვცხოვრობთ.

– ბატონო სოსო, არჩევნების შემდეგ, პროცესების ქუჩაში გადანაცვლებას რამდენად ელოდებით?

– ბუნტისთვის მზადების შესახებ, ჯერ კიდევ როდის მოვისმინეთ. ჭიკაიძემ გვითხრა, ოპოზიცია საბურავებს აგროვებსო. სახელმწიფო გადატრიალების შესახებ საქმე თაროზეა შემოდებული, რომლის მტკიცებულებაც იყო – ოპოზიცია საბურავებს აგროვებს. მსგავს რამეს არ ველოდები თუ, რასაკვირველია, ოპოზიციას არ მიეცა რეალური საბაბი. თუ საბაბი ხელოვნური იქნება, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ოპოზიცია უცხოელ პარტნიორებს, დასავლეთს ვერ მოატყუებს. ამერიკის საელჩოს ვერ მოატყუებს. ამიტომ, ჯობია, ყველამ თავი შეიკავოს და ერთი არჩევნები მაინც ჩავატაროთ ისე, რომ არც დამარცხებულს არ ჰქონდეს პრეტენზიები. უსაფუძვლო პროტესტს კი არავინ არ დაიჯერებს, რაც მთავარია, ხალხი არ დაიჯერებს. ყველაფერი მარტივად არის 300-400 დამარცხებული პარტიის აქტივისტი გამოვა, მაგრამ ხალხი ქუჩაში არ გამოვა თუ მას არ ექნა უსამართლობის განცდა, რომ მას მოპარეს არჩევანი. 300 კაცს კიდევ ჯერ მსოფლიოში რევოლუცია არსად არ მოუხდენია.

ახლა ბიძინა ივანიშვილთან კომუნიკაცია რომ მქონდეს, მხოლოდ ერთ რამეს ვურჩევდი: ორი ადამიანი, რომელთა განცხადებებიც პირიქით ცეცხლზე ნავთს ასხამს და ხანდახან შავრაზმელობის ზღვარზეც გადის, გააჩეროს. ერთი კაცია და მეორე – ქალი. არჩევნებამდე მაინც ეს ორი ადამიანი გააჩუმოს. სხვა მხრივ მოვლენები, ვფიქრობ, ნორმალურად განვითარდება, არ არის საჭირო პროცესების ხელოვნური ეგზალტაცია.

ივანიშვილმა შეგნებულად დატოვა ნაცმოძრაობა ძირითად ოპოზიციურ ძალად

თენგიზ დიხამინჯია: „ყველა წაგებულ ხელისუფლებას ეშინია კატასტროფის, რადგან მათი მმართველობის პირობებში კორუფცია დიდი იყო“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი თენგიზ დიხამინჯია პასუხობს.

– ბატონო თენგიზ, 1990 წლის 28 ოქტომბ?რს ჩატარდა პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რომელმაც გზა გაკაფა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისკენ. თქვენ ხართ აქტიური მონაწილე იმ პროცესებისა, რაც მაშინ ვითარდებოდა. მას შემდეგ 30 წელი გავიდა და ბევრი არჩევნები ჩავატარეთ. ახლაც საარჩევნო პროცესში ვართ. თუმცა, სიძნელეები ვერ დაიძლია. ამ გადასახედიდან რა შეგიძლიათ თქვათ?

– დღეს ხდება იმ დიადი დღეებისა და მონაპოვრის მივიწყება, რომელსაც წვლილი მიუძღვის ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენაში. პირველი მრავალპარტიული არჩევნებით საფუძველი ჩაეყარა დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენას, რომელიც კომუნისტების მიერ იყო უზურპირებული. ისტორიული სამართლიანობა აღდგა და ქართულ სახელმწიფოებრიობას საფუძველი ჩაეყარა.

გლობალური პროცესებისა და მარშალის გეგმების განხორციელების შედეგად, მოხდა საბჭოთა კავშირის დემონტაჟი, თუმცა, სამწუხაროდ, გლობალური პროცესებისა და შიდა პოლიტიკური აშლილობის შედეგად, ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებაში გაეხვია. შემდეგ ჩავერთეთ კონფლიქტებში და დროებით დავკარგეთ ძირძველი ქართული ტერიტორიები, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი.

– ამ დაპირისპირებამ საქართველო თავისი ბუნებრივი განვითარების რელსებიდან ხომ არ გადაიყვანა და ამიტომ ხომ არ ვართ რთულ ვითარებაში?

– რა თქმა უნდა. ეს გამოიწვია ხელისუფლების უზურპაციამ, არალეგიტიმური გზებით ძალაუფლების მოპოვებამ, რომლის ავანგარდში ნეოკომუნისტური ძალებიც იდგნენ. ისინი დღესაც საკმაოდ ანგარიშგასაწევი ძალები არიან. მოხდა სოციალური სამართლიანობის იდეის სრული უგულებელყოფა, მოსახლეობის საცხოვრებელი სასიცოცხლო არეალის იგნორირება და ეკონომიკის სრული მოშლა.

მას შემდეგ სამი მთავრობა შეიცვალა. ვერც ერთმა მთავრობამ ვერ მოახერხა ღირსების აღდგენა, ეროვნული თანხმობის მიღწევა, ეკონომიკის ელემენტარულად სტაბილური გარემოს შექმნა. ისეთი პარამეტრებისა და სტანდარტების შემოღება, რომელიც ადამიანებისა და ერის არსებობას სასიცოცხლო არეალით უზრუნველყოფდა. სამწუხაროდ, ასეთი სურათი მივიღეთ. ყველა ძალა ანგარიშსწორებასა და რევანშიზმს ცდილობდა. დღესაც ეს ყველაფერი ინერციით გრძელდება.

– 30 წელია, ძირითადად, ანგარიშსწორების გზით დავდივართ, სამწუხაროდ, ეს ავი სენი ვერ დავძლიეთ და ხალხს მშვიდი, კარგი არჩევნები ენატრება, რომ არჩევნების შემდეგ კონფრონტაცია არ იყოს. რა შემთხვევაში შეიძლება კონფრონტაციული ფონი გადაილახოს?

– ვითარება ისეთია, რომ წლების განმავლობაში პოლიტიკურ არჩევნებში წაგებული პარტიები გამართულ არჩევნებს ძირითადად არალეგიტიმურს უწოდებდნენ. შემდეგ ზოგი გარბოდა მოსკოვში, ზოგი – სტრასბურში, ზოგი – ჟენევაში, ზოგიც – ვაშინგტონში. ეს იყო ანგარიშსწორებით, ან მოპარული ფულით გამოწვეული. ყველა წაგებულ ხელისუფლებას ეშინია კატასტროფის, რადგან მათი მმართველობის პირობებში კორუფცია დიდი იყო.

– დანაშაულობებიც ხომ იყო ჩადენილი წასული ხელისუფლებების პერიოდში.

– ყველა მთავრობის დროს ჩადენილი იყო დანაშაულობები. ერთადერთი, ჩვენი ხელისუფლების დროს არ იყო კორუფცია. სხვა ხელისუფლებების პერიოდში ადგილი ჰქონდა ბიუჯეტის უზარმაზარი თანხების, რესურსების ფლანგვას, რაც ამ ქვეყანას პერსპექტივას უსპობდა. ვფიქრობ, დღესაც ანალოგიური სურათია.

– წინა ხელისუფლების დროს იმდენი დანაშაული იყო ჩადენილი, მიუხედავად იმისა, ასამდე მაღალჩინოსანია გასამართლებული, ხალხი ამით მაინც არ კმაყოფილდება და ამბობს, სამართლიანობა უნდა აღდგესო.

– ამ ხელისუფლებამ ბევრი დანაპირები ვერ შეასრულა, მაგრამ უმთავრესი, რითაც მოვიდა, სამართლიანობის აღდგენაა. 2012 წელს მოსულ ხელისუფლებას, უპირველესად, წინა ხელისუფლების საქმიანობის ოფიციალურ, სახელმწიფოებრივ დონეზე, წინა ხელისუფლების საქმიანობის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება უნდა მოეხდინა, ამის შემდეგ, პარტია ნაცმოძრაობა უნდა აკრძალულიყო და, გარკვეულწილად, უნდა გაეგრძელებინა ცხოვრება.

ევროპისა და ამერიკისთვის გაუგებარია, როდესაც ხელისუფლებასთან ერთად, ოპოზიციის სტატუსით საპარლამენტო ასამბლეაში, სტრასბურსა და ნიუ იორკში ერთად არიან და ამავდროულად მმართველი ძალა ამბობს, რომ ეს პარტია არის დანაშაულებრივი.

თუ დანაშაულებრივი ჯგუფია, მათთან ერთად ოფიციალურ დელეგაციებსა და შეხვედრებში რატომ არიან? მათ შორის კოორდინაცია და კოაბიტაცია უნდა გამორიცხულიყო. ეს ბიძინა ივანიშვილმა შეგნებულად გააკეთა. შეგნებულად დატოვა ნაცმოძრაობა ძირითად ოპოზიციურ ძალად.

– მე მგონი დასავლეთიდანაც იყო მითითება, რომ სააკაშვილისა და ნაცმოძრაობისთვის ხელი არ ეხლოთ.

– ეგ არაფერს ნიშნავს. ამას დასავლელების ნაწილი ამბობდა. როდესაც ხელისუფლებაში ხარ, ძალაუფლების ბერკეტები ხელში შენ უნდა აიღო და მოსახლეობის დაკვეთა უნდა შეასრულო. ეს ხელისუფლება მოსახლეობის დაკვეთით მოვიდა და გამოსაგონი არაფერი ჰქონდა.

თუნდაც კეზერაშვილს მილიარდნახევარზე მეტი გაფლანგვა რომ ჰქონდა და პასუხი არ მოსთხოვეს. სააკაშვილმა და მელიამ ორჯერ პირდაპირ დაადეს ხელი, მაგრამ კეზერაშვილს ამხელა ფულის გაფლანგვა შეარჩინეს – ყოველგვარი პასუხისგების გარეშე, საერთაშორისო ძებნიდან მოხსნეს. ხელისუფლებას უნდა, მოსახლეობამ მაშა სააკაშვილი და ნაცმოძრაობა საფრთხობელად წარმოიდგინოს.

– ამ ძალას ხელისუფლებაში დაბრუნება, რეალურად, ხომ უნდა?

– როდესაც ხელისუფლება სასათბურე პირობებში გამყოფებს ისე, როგორც „ოცნება“ ეპყრობა ნაციონალებს, ამით ძალიან დიდ გასაქანს გაძლევს. ყველაზე დიდი დანაშაული, რაც „ოცნებამ“ ჩაიდინა, ის იყო, რომ თქვეს, შუა უნდა გაიკრიფოსო. შუა უნდა გაიკრიფოს იმას ნიშნავდა, რომ ნაციონალები და დღევანდელი ხელისუფლება უნდა დარჩენილიყვნენ.

წინააღმდეგ შემთხვევაში ნაციონალებს აღარ ექნებოდათ ის კომფორტული პირობები, რომელიც „ოცნებამ“ შეუქმნა ნაციონალებს და ასპარეზზე ჯანმრთელი ძალები გამოვიდოდნენ. ნაცმოძრაობას ბრალი უნდა წარდგენოდა ციხის კადრებზე, ჩადენილ მკვლელობებზე, კორუფციაზე, რაც მე ვახსენე, კეზერაშვილის მიერ გაფლანგულ მილიარდნახევარზე. სააკაშვილს სასაცილო ბრალდებები წაუყენეს.

„ოცნებამ“ ეს ნაწილობრივ გააკეთა და მივიღეთ ის, რომ მთავარ ოპოზიციურ ძალად ისევ ნაცმოძრაობაა და უკიდურესაც ფეთქებადსაშიში ვითარებაა. სააკაშვილზე გამოცხადებული საერთაშორისო ძებნა შეწყვეტილია. თან გვეუბნებიან, რომ მსჯავრდებულია, თან სააკაშვილს ეშინიათ. თან „ოცნებამ“ თქვა, რომ არანაირი ეკონომიკური, სამართლებრივი, კონსტიტუციური რეფორმები არ იქნება და ისევ ძველი ინერციით გაგრძელდება ყველაფერი.

– სად თქვა „ოცნებამ“ არანაირი რეფორმები არ იქნებაო?

– რეფორმები თუ დასჭირდებოდა, ამისთვის დიდი დრო ჰქონდა. ამის არანაირი კონკრეტიზაცია არ არის. „ოცნება“ ხელისუფლებაში რითაც მოვიდა, ის ვერ შეასრულა და ძალიან მძიმე ჩიხში შევიდა. 10 მილიარდი ლარია ვალი, რომელიც ჩვენი შვილების გადასახდელია.

– ერთხელ ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, სააკაშვილს 9-დან 18 მილიარდამდე აქვს წაღებული, მაგრამ დაბრუნება ძნელიაო. ის ფული რომ დააბრუნებინონ, სახელმწიფოს ვალს დავფარავთ.

– ეს ბრალდება ოფიციალურ დონეზე არ არის ჩამოყალიბებული. ჰელმუდ კოლი, რომელმაც გერმანია გააერთიანა, 6 ათასი მარკის გამო (ისიც სახლში კი არ წაუღია, ტრანსფერში იყო შეცდომა) კანცლერის მოვალეობას ჩამოაცილეს. კოლი შემდეგ მისმა მოადგილემ, ანგელა მერკელმა ჩაანაცვლა. ასეთი რამ სახელმწიფოებრივ დონეზე კეთდება და არა განცხადებების დონეზე ადამიანების გულის მოსაგებად.

ამით ყველა ხელისუფლება სარგებლობს, დრო იწელება და მერე დაბრუნების პროცესი ძნელდება. ეს საკითხი დღის წესრიგში ყოველთვის დადგება.

ისტორიას თუ გადავხედავთ, კერენსკის მთავრობა რომ მოვიდა, მაშინ ბოლშევიკები მეშვიდე ადგილზე იყვნენ რეიტინგით. შემდეგ ისე განვითარდნენ, რომ ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს და 70 წელი გრძელდებოდა მათი დიქტატურა. ანალოგიური რაღაც სხვა ქვეყნებშიც ხდება, ძირითადად არასტაბილურ, არამდგრად, არასამართლებრივ ქვეყანაში. ეს მოხდა უდიდესი კულტურის ქვეყანაშიც, როგორიც გერმანიაა.

მაგალითად, მესამე-მეოთხე ადგილზე იყვნენ ფაშისტები. რაღაც კომბინაციებისა და არამდგრადი პოლიტიკურ-სამართლებრივი ვითარების შედეგად, ჰიტლერი ხელისუფლებაში მოვიდა და ერთპარტიული დიქტატურა დაამყარა. ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება თავისი უნიათობით, არაშორსმჭვრეტელობით, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ხელს უწყობს ასეთ პროცესს.

– რა პროგნოზი გაქვთ?

– ჩემი აზრით, უპირატესობას ვერც ერთი მხარე ვერ მიაღწევს. ამიტომ ეს იქნება გარდამავალი არჩევნები, რადგან ეს გუნდი ვერ დააკომპლექტებს ისეთ მთავრობას, რომელიც ამ ქვეყანას კრიზისიდან გამოიყვანს. თუმცა, ამ ეტაპზე მაინც მთავარია, არჩევნები სერიოზული დარღვევების გარეშე ჩატარდეს, რადგან კონფრონტაცია დაუშვებელია – საქართველოს მშვიდობიან განვითარებას ხელი არ უნდა შეეშალოს.

სენატორი რიში: „ამ არჩევნების სანდოობა მნიშვნელოვანია, როგორც არასდროს“



შეერთებული შტატების სენატის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარის, სენატორ ჯიმ რიშის განცხადებით, საქართველოში 31 ოქტომბრის არჩევნები დემოკრატიისთვის მნიშვნელოვანი გამოცდაა.

როგორც მან „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციასთან შეკითხვის პასუხად განაცხადა, ამ არჩევნების სანდოობა ისე მნიშვნელოვანია, როგორც არასდროს.

– არჩევნების ჩატარება დემოკრატიისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი სავარჯიშოა და პანდემიის პირობებში, საქართველო უქმეებზე არჩევნებისთვის ემზადება, ამ არჩევნების სანდოობა ისე მნიშვნელოვანია, როგორც არასდროს.

მე მოველი, რომ ვიხილავ საქართველოს მიერ მისი დემოკრატიული არჩევანის და სტაბილურობის დადასტურებას თავისუფალი, სამართლიანი და სანდო არჩევნების ჩატარებით. ყველა მხარემ უნდა გააგრძელოს საკანონმდებლო ჩარჩოს პატივისცემა, რომელზეც პოლიტიკური პარტიები მიმდინარე წელს შეთანხმდნენ, – განაცხადა ჯიმ რიშმა.

ასლან ბჟანია მორიგი სამუშაო ვიზიტით მოსკოვშია

ოკუპირებულ რეგიონში დიდი მღელვარებაა აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეებისთვის უძრავი ქონების შესყიდვაზე

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში კოვიდინფექციის ზრდის ფონზე აქტიურად მიდის მსჯელობა აფხაზებისთვის უმტკივნეულეს პრობლემაზე — უძრავი ქონების უცხოელებისთვის მიყიდვაზე.

ეხება თუ არა ამ საკითხს მოსკოვში მორიგი სამუშაო ვიზიტით მყოფი მყოფი აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი, ჯერჯერობით უცნობია.

ოკუპირებულ რესპუბლიკაში ამ თემამ გადაფარა პანდემია, დამნაშავეობა, სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემები და მთიან ყარაბაღში მიმდინარე ომი.

აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის მოქალაქეების უძრავი ქონების პრობლემა ცოტა ხნის წინ პრესკონფერენციაზე გაახმოვანა რუსეთის ფედერაციის საგარეო მინისტრმა სერგეი ლავროვმა. მან განაცხადა, რომ მოსკოვი რუსეთის მოქალაქეების უძრავი ქონების საკითხს დაუბრუნდება.

შეგახსენებთ, რომ ომის შემდეგ ოკუპირებულ აფხაზეთში აკრძალულია უცხოელებისთვის უძრავი ქონების (ბინები, მიწის ნაკვეთები) მიყიდვა. იურიდიულ პირებს ეს არ ეკრძალებათ.

სერგეი ლავროვის განცხადების შემდეგ ახალი ინიციატივით გამოვიდა აფხაზეთის საზოგადო მოღვაწე, პოლიტოლოგი, საზოგადოებრივი პალატის ყოფილი მდივანი, ნათელა აკაბა.

ნათელა აკაბას წინადადებით, აფხაზეთში უნდა შეიქმნას სპეციალური ტერიტორიები, სადაც იმოქმედებს შეღავათები და აშენდება აპარტამენტები. ესე იგი, უცხოელებს მიეცემათ სახლებისა და ბინების შესყიდვის უფლება.

აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო უწყებამ გამოაცხადა, რომ ლავროვი შეცდომაშია შეყვანილი. შეკითხვის დასმისას ითქვა, თითქოს ილახება რუსეთის მოქალაქეების უფლებები.

საოკუპაციო რეჟიმის სამინისტრო ირწმუნება, რომ პრეზიდენტთან არსებული კომისია აგვარებს რუსეთის მოქალაქეების პრობლემებს. შეზღუდვა კი მოქმედებს მხოლოდ მათთვის, ვინც იბრძოდა აფხაზეთის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ და ეხმარებოდა ოკუპანტებს.

ლავროვისა და აკაბას მხრიდან უძრავი ქონების მწვავე თემის წამოწევამ აფხაზეთის მთელი საზოგადოება ააფორიაქა.

„აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმმა“ ამ დაძაბულ სიტუაციაში გაუგზავნა მიმართვა დე ფაქტო პრეზიდენტს, ასლან ბჟანიას.

– პროგრესირებადი პანდემიის პირობებში საზოგადოებას პოლიტტექნოლოგიების დახმარებით თავს ახვევენ აზრებს. საზოგადოებაში ფართო განხილვა მოჰყვა ცნობილი საზოგადო მოღვაწეების ინიციატივებს, რომლებიც ეხება ეროვნულ უსაფრთხოებას. ამან გამოიწვია კამათი და დაპირისპირება, დაძაბულობა საზოგადოებაში, – ნათქვამია მიმართვაში.

„ერთიანობის ფორუმი“ მოუწოდებს ასლან ბჟანიას, როგორ გააცნოს საზოგადოებას თავისი პოზიცია რამდენიმე საკითხზე. ერთი ეხება დაწყებული საკონსტიტუციო რეფორმის მიზნებს, მეორე – უცხო სახელმწიფოების მოქალაქეებისთვის საცხოვრებლის მიყიდვას, მესამე – ენერგოსისტემის განსახელმწიფოებრიობას.

აფხაზეთში უძრავი ქონების გაყიდვის წინააღმდეგ ბევრმა ატეხა ხმაური. ჟურნალისტმა ამ ხალხს ირონიულად უწოდა სუპერპატრიოტები. მისი შეფასებით, 1 კვადრატულ მეტრზე სუპერპატრიოტების რაოდენობით აფხაზეთი პირველ ადგილზეა. თუმცა, ეს არ ასახულა აფხაზეთის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხსა და სახელმწიფოზე.

– ეს იმიტომ ხდება, რომ ხიშტებით ვხვდებით ნებისმიერ მცდელობასა და ნებისმიერ ინიციატივას. ჩვენი ეროვნული ინტერესი უნდა იყოს აფხაზური სახელმწიფო განვითარებული ეკონომიკით, თანამედროვე მედიცინითა და განათლებით, სადაც ყველა მოქალაქე დაცულია როგორც გარე მტრის, ისე კრიმინალისა და ჩინოსნების თავნებობისგან, – ასკვნის პუბლიცისტი.

პროკურორი სადრაძე: „მელაშვილის და ილიჩოვას ადვოკატები სრულად გაეცნენ საქმის მასალებს“

ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე დაცვის უფლება სრულად არის უზრუნველყოფილი და ბრალდებულების ადვოკატები კანონით დადგენილი წესით და ფორმით, სრულად გაეცნენ სისხლის სამართლის საქმის მასალებს, ასევე გადაეცათ მტკიცებულებების ასლები სრული მოცულობით.

ამის შესახებ პროკურორმა მიხეილ სადრაძემ განაცხადა, რითაც უპასუხა „ინტერპრესნიუსის“ კითხვას, მასალებზე სათანადო წვდომის შეზღუდვის შესახებ საქმის ადვოკატების განცხადებასთან დაკავშირებით.

როგორც პროკურორი აცხადებს, პროკურატურის მხრიდან რაიმე უმოქმედობაზე საუბარი სამართლებრივად არასწორია და ფაქტებს ეწინააღმდეგება.

– საქმეში ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მტკიცებულება ექსპერტიზის დასკვნები და ის კარტოგრაფიული მასალა და რუკებია, რაც საფუძვლად დაედო ექსპერტიზის ორივე დასკვნას და რაც ექსპერტებმა კვლევის პროცესში დაამუშავეს, დაცვის მხარეს ასლის სახით უკვე გადაცემული აქვს.

აღნიშნული ფაქტი დოკუმენტურადაც დასტურდება. შესაბამისად, ამ მიმართულებით საუბარი რაიმე უმოქმედობაზე პროკურატურის მხრიდან, მით უმეტეს, დაცვის უფლების შეზღუდვაზე, სამართლებრივად არასწორია, ეწინააღმდეგება ფაქტებს და შორსაა საღი აზრისაგან, – აცხადებს პროკურორი.

მისი თქმით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გაცნობისა და გადაცემის ნაწილში, ითვალისწინებს მტკიცებულებათა გაცნობის, ასლის მიღების, ცნობის სახით გადაცემისა და დათვალიერების შესაძლებლობას.

ეს არის ის შესაძლებლობები, რასაც ამ კონტექსტში დაცვის უფლების რეალიზაციისთვის ითვალისწინებს კანონი და რაც სრულად არის უზრუნველყოფილი გამოძიების მიერ.

– ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად უნდა იქნეს გაცხადებული, რომ მტკიცებულებების ასლები დაცვის მხარეს გადაეცა. რაც შეეხება რუკის დედნების გადაცემის საკითხს, აღსანიშნავია შემდეგი: ადვოკატებს მიეცათ მათი უშუალოდ გაცნობისა და დათვალიერების შესაძლებლობა და ისინი ამ უფლებით სარგებლობენ კიდეც; დედნების გადაცემა დაცვის მხარისათვის, ბუნებრივია, ვერ მოხდება, რადგან ამას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, დედანი მტკიცებულება მხოლოდ სასამართლოში იგზავნება, – განაცხადა მიხეილ სადრაძემ.

პროკურორის განმარტებით, აღსანიშნავია ისიც, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების ანატომიას თუ გადავავლებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადამალვა-განადგურება ბრალდებულების ქმედებებს ერთგვარ ნარატივად გასდევს.

– ივერი მელაშვილმა და ნატალია ილიჩოვამ ღამის პრაქტიკულად მთელი ცხოვრება დაუთმეს ამ რუკების გადამალვას. ეს რუკები მათ ხელში იყო და შეგნებულად არ აჩენდნენ. ამ მოცემულობის გათვალისწინებით კი ბრალდებულების მიერ სწორედ ახლა, ამ დროს ამ რუკებით დაინტერესება და მათი შესწავლის სურვილის გამოთქმა, მინიმუმ უხერხულია, – აღნიშნა პროკურორმა.

ივერი მელაშვილის ადვოკატის ედუარდ მარიკაშვილის ინფორმაციით, პროკურატურა დაცვის მხარეს საქმეში არსებულ სხვადასხვა უწყებებიდან ამოღებულ კარტოგრაფიულ მასალას არ აძლევს. მისივე თქმით, აღნიშნული ქმედებით, პროკურატურა არღვევს საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს და დაცვის მხარის უფლებას.

ვალერიან ნემსიწვერიძის მკვლელობისთვის ვასილ ჯანჯღავას ეძებენ

ავჭალაში მომხდარი მკვლელობის ახალი დეტალები

„პრაიმტაიმისთვის“ ექსკლუზიურად ცნობილი გახდა ვალერიან ნემსიწვერიძის მკვლელობაში ბრალდებულის ვინაობა.

„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, პოლიცია 47 წლის ვასილ ჯანჯღავას ეძებს, რომელიც სარაჯიშვილის ქუჩაზე, შემთხვევის ადგილის მიმდებარედ სასურსათო მაღაზიას ამუშავებდა.

ეს ინფორმაცია ცნობილია ობიექტის მფლობელისთვის, რომელიც გამოძიებამ უკვე დაკითხა. სწორედ მისგან იქირავა ვასილ ჯანჯღავამ აღნიშნული ობიექტი.

მკვლელობის შემდეგ ჯანჯღავა ადგილზე აღარ გამოჩენილა. სარაჯიშვილის 38-ში მდებარე სასურსათო მაღაზიას კი ამჟამადაც ეტყობა საგამოძიებო მოქმედებების კვალი.

სავარაუდოდ, ვალერიან ნემსიწვერიძესა და ვასილ ჯანჯღავას შორის 24 ოქტომბერს შელაპარაკება სწორედ ამ მაღაზიასთან დაიწყო, რაც საბოლოოდ სისხლიანი გარჩევით დასრულდა – საკუთარ ავტომობილში ნემსიწვერიძეს 6 ტყვია ესროლეს, რის შედეგად ის ადგილზევე გარდაიცვალა.

ფაქტს ჰყავს თვითმხილველებიც. ერთ-ერთი მათგანი ზემოხსენებული მაღაზიის გამყიდველი ქალია, თუმცა ის მედიასთან არ კონტაქტობს.

მოკლული ვალერიან ნემსიწვერიძის ოჯახის ადვოკატი ბრალდებულის ვინაობას არ აკონკრეტებს, თუმცა დარწმუნებულია, რომ გამოძიებას რამდენიმე დღეში შედეგი ექნება.

ადვოკატი გამორიცხავს შურისძიების ვერსიას და ამბობს, რომ ნემსიწვერიძე სულ მალე მაღაზიის გახსნას აპირებდა.

ფაქტზე შსს გამოძიებას 108-ე და 236-ე მუხლებით აწარმოებს, რაც განზრახ მკვლელობას და იარაღის უკანონო ტარებას გულისხმობს.

გარდაცვლილს მეუღლე და 3 არასრულწლოვანი შვილი დარჩა.

ბადრი ესებუას მამა: „გამოდი, შვილო, ჩაბარდი პოლიციას“

ბადრი ესებუას მამა, ტარიელ ესებუა შვილს სთხოვს, ოჯახს დაუკავშირდეს და პოლიციას ჩაბარდეს. მის ვიდეომიმართვას პორტალი „კვირა“ ავრცელებს.

„შვილო, ბადრი, გელოდებოდით გუშინ, არ ჩამოხვედი, სად ხარ? არაფერი ვიცი შენი ადგილსამყოფელის შესახებ. გამოდი, შვილო, ჩაბარდი პოლიციას და ყველაფერი ნორმალურად გაირკვევა. გთხოვთ ამას, მეტი არაფერი სათქმელი არ მაქვს. ან დაგვიკავშირდი, ან ჩაბარდი პოლიციას. ესაა ჩემი სათქმელი“ – აცხადებს ტარიელ ესებუა ვიდეომიმართვაში.

შეგახსენებთ, 21 ოქტომბერს ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ ფილიალს შეიარაღებული პირი თავს დაესხა. მძევლად აიყვანა 19 ადამიანი, თუმცა რამდენიმე საათის შემდეგ 16 პირი გაათავისუფლა და ბანკის შენობა მძევლებთან ერთად მას შემდეგ დატოვა, რაც მისი მოთხოვნები დაკმაყოფილეს – მისცეს თანხა და შეუქმნეს უსაფრთხო პირობები ტერიტორიის დატოვებისთვის. თავდამსხმელი ნახევარ მილიონ დოლარს ითხოვდა. აღსანიშნავია, რომ 4 მძევალს შორის, ვისთან ერთადაც შეიარაღებულმა პირმა „საქართველოს ბანკის“ შენობა დატოვა, ერთ-ერთი სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ავთანდილ გალდავა იყო, რომელიც თავდამსხმელთან მოლაპარაკებებს უშუალოდ აწარმოებდა, მოგვიანებით კი, მძევლების დიდ ნაწილს ჩაენაცვლა. არსებული ინფორმაციით, სწორედ გალდავამ მიუტანა თავდამსხმელს ფულიც.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაადასტურა, რომ 21 ოქტომბერს ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე მომხდარი თავდასხმა ბადრი ესებუამ განახორციელა.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 323-ე და 329-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ტერორისტულ აქტს, მძევლად ხელში ჩაგდებას ტერორისტული მიზნით და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

მთავარ არხს მანქანიდან ტექნიკა გასტაცეს

აპარატურა მალე იპოვეს

29 ოქტომბერს ტელეკომპანია „მთავარის“ იმერეთის ბიუროს მანქანიდან ვიდეოკამერა და პირდაპირი ჩართვის აპარატი გაიტაცეს. ძარცვა ტელეკომპანიის ოპერატორის თვალწინ მოხდა. ბოროტმოქმედებმა მიმალვა შეძლეს.

– საბედნიეროდ, ტელეკომპანია „მთავარის“ კუთვნილი აპარატურა, ვგულისხმობ ჩართვის აპარატს და კამერას, უკვე ნაპოვნია. პირდაპირი ჩართვის აპარატი ჩვენი ავტომობილიდან რამდენიმე ათეულ მეტრში იპოვეს, რაც შეეხება კამერას, ის ერთ-ერთი კორპუსის სადარბაზოსთან შენიშნეს, – ამბობს ჟურნალისტი ირაკლი ვაჩიბერაძე.

შემთხვევა იმ დროს მოხდა, როცა ჟურნალისტი ჩართვისთვის ემზადებოდა.

– ოპერატორის თვალწინ აპარატურა გაიტაცეს. უცნობმა პირმა ელვისებური სისწრაფით მანქანიდან ტელევიზიის კუთვნილი ჩართვის აპარატი და კამერა წაიღო. ოპერატორი მათ გაეკიდა – ორნი იყვნენ. ახლა სადაც ვიმყოფებით, გარშემო ტყეცაა და გამტაცებელი მალე შეძლებს მიმალვას, – თქვა აპარატურის გატაცების დროს ირაკლი ვაჩიბერაძემ.

ბადრი ესებუას გადაადგილების ამსახველი კადრები გადაღებულია 6 ოქტომბერს და არა 27 ოქტომბერს

ესებუა გადაღებულია სამეგრელოს სხვა მუნიციპალიტეტში და არა ზუგდიდში

შსს-მ განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია:

„გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ მართებული ინფორმაცია მედიასაშუალებებში გავრცელებულ ბადრი ესებუას გადაადგილების ამსახველ ფოტო და ვიდეომასალასთან დაკავშირებით.

21 ოქტომბერს, ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე მომხდარ თავდასხმაში პოლიციის მიერ იდენტიფიცირებული პირის – ბადრი ესებუას გადაადგილების შესახებ რამდენიმე ტელევიზიის მიერ საზოგადოებისთვის მიზანმიმართულად მიწოდებულ იქნა არასწორი ინფორმაცია.

ფოტო და ვიდეომასალა სხვადასხვა ობიექტზე განთავსებული ვიდეომონიტორინგის მოწყობილობების მიერ გადაღებულია მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს და არა 27 ოქტომბერს, ასევე, გასაჯაროებული მასალა გადაღებულია სამეგრელოს რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტში და არა ზუგდიდში, როგორც ეს მედიასაშუალებებმა გაავრცელეს.

თავდასხმაში იდენტიფიცირებული პირის – ბადრი ესებუას ზუგდიდის ქუჩებში თითქოს თავისუფლად გადაადგილება და ამ ინფორმაციის მიზანმიმართული გაყალბება ემსახურება საზოგადოების სიცრუეში შეყვანას და სამართალდამცველი უწყებების დისკრედიტაციას.

პოლიცია, 1988 წელს დაბადებული ბადრი ესებუას ადგილსამყოფელის დადგენისა და დაკავების მიზნით, სპეციალურ ოპერატიულ, საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებებს აქტიურ რეჟიმში განაგრძობს.“

ჩხოროწყუში ახალი სახანძრო-სამაშველო შენობა გაიხსნა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, იოსებ ჭელიძემ ჩხოროწყუში ევროპული სტანდარტების ახალი სახანძრო-სამაშველო შენობა გახსნა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე – გიორგი ბუთხუზი, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი – თემურ მღებრიშვილი, სახანძრო-სამაშველო დეპარტამენტის ხელმძღვანელები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

ჩხოროწყუს ახალი, ევროპული სტანდარტების შესაბამისი, თანამედროვე სახანძრო-სამაშველო შენობა მოემსახურება. სამსართულიანი შენობა სრულად აკმაყოფილებს რეგიონის მოთხოვნილებებს. აღნიშნულ განყოფილებაში იმუშავებს 20 მეხანძრე-მაშველი, რომლებსაც პროფესიული საქმიანობის შესასრულებლად ყველა პირობა აქვთ შექმნილი.

ახალ შენობაში თანამშრომლებისთვის მოწყობილია სამუშაო, სასწავლო და საძინებელი ოთახები, ასევე, სპორტული დარბაზი და სამზარეულო.

შენობაში გათვალისწინებულია სპეციალური სადგომი ორი სახანძრო და ერთი სამაშველო ავტომანქანისთვის.

დღეიდან, ჩხოროწყუს სრულიად ახალი სახანძრო-სამაშველო შენობა მოემსახურება.

2012-2020 წლებში აშენდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ახალი შენობები: ამბროლაურში, ყაზბეგში, ბათუმში, რუსთავში, ზუგდიდში, სიღნაღში, ბორჯომსა და ანაკლიაში. სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს და სრულდება: წალენჯიხაში, მარტვილში, ჩოხატაურსა და აბასთუმანში.

ნუკრიანში ადმინისტრაციის შესასვლელი ააფეთქეს

ძარცვის მიზნით, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანში, 28 ოქტომბერს გვიან ღამით, ადმინისტრაციული შენობის შესასვლელი ააფეთქეს.

შედეგად ჩამსხვრეულია შენობის კედლები და მინები. შენობაში დამონტაჟებული იყო ბანკომატი, საიდანაც სავარაუდოდ წაღებულია გარკვეული თანხა. როგორც ადგილობრივები ფიქრობენ, ფაქტი სწორედ ძარცვის მიზნით მოხდა.

გამოძიება სსკ-ის 187-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

ფოთში ადმინისტრაციული შენობა გაქურდეს

ფოთში, მალთაყვის უბანში, ადმინისტრაციული შენობა გაქურდეს. მერის წარმომადგენლის, უჩა დოლიძის განცხადებით, წაღებულია კომპიუტერის 2 პროცესორი.

მისივე ინფორმაციით, დამნაშავეები, სავარაუდოდ, ფანჯრიდან შევიდნენ.

შემთხვევის ადგილზე საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა.

ნიცაში ნოტრ-დამის ტაძარში თავდამსხმელმა 3 კაცი მოკლა

29 ოქტომბერს, დილის 9 საათზე, საფრანგეთის ქალაქ ნიცაში მდებარე ნოტრ-დამის ტაძარში დანით შეიარაღებული პირი მოქალაქეებს თავს დაესხა.

თავდასხმის შედეგად დაღუპულია 3 და დაშავებულია რამდენიმე ადამიანი.

ზოგიერთი მედია საშუალების ინფორმაციით, თავდამსხმელმა ერთ-ერთ დაღუპულ ქალს თავი მოკვეთა. სხვა ცნობით, ცხედართა შორის თავმოკვეთილი არავინაა, 2 ცხედარს კი ყელი აქვს გამოჭრილი.

თავდასხმას ქალაქის მერმა კრისტიან ესტროსიმ ტერორისტული აქტი უწოდა.

– მსურს, დაგიდასტუროთ, ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ეს იყო ტერორისტული აქტი, – განაცხადა მერმა.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ჟერალდ დარმანინის თქმით, ქალაქში პოლიცია

ეჭვმიტანილის დაკავების ოპერაციას ატარებს, თუმცა, ქალაქ ნიცას მერი აცხადებს, რომ თავდამსხმელი უკვე დაკავებულია.

თავდასხმა მოხდა ავინიონშიც. უცნობი პირი თავს დაესხა პოლიციელებს ყვირილით „ალაჰ აკბარ!“

პოლიციელებმა თავდამსხმელი მოკლეს.

ამავე დღეს საფრანგეთის პოლიციამ ქალაქ ლიონში დანით შეიარაღებული ავღანელი მამაკაცი დააკავა.

20 წლამდე ასაკის მამაკაცი მაშინ დააკავეს, როდესაც ის ტრამვაიში ჩაჯდომას აპირებდა.

– მას 30 სანტიმეტრიანი დანა ჰქონდა თან და, როგორც ჩანს, მზად იყო მოქმედებებისთვის, – განუცხადა ფრანს-პრესს ლიონის მერმა პიერ ოლივერმა.

დღის ბოლოს საფრანგეთმა უსაფრთხოების განგაშის სტატუსი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მაქსიმალურ დონემდე გაზარდა.

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ჟან კასტექსმა განაცხადა.

მისივე თქმით, მთავრობის რეაგირება ქალაქ ნიცაში მომხდარ თავდასხმაზე მტკიცე და ულმობელი იქნება.

მეთევზეებმა უზარმაზარი ზღვის ურჩხული დაიჭირეს

ინდოეთის კარნატაკის შტატში მეთევზეებმა შემთხვევით უზარმაზარი ზღვის ურჩხული დაიჭირეს, რომლის წონამ 750 კილოგრამი შეადგინა.

უზარმაზარი თევზი მეთევზეთა ტრაულერის ბადეში გაება. პორტში დაბრუნების შემდეგ, ხომალდის მფლობელ პრაკაშ ბანგერს ამწეკრანის დაქირავება მოუხდა იმისთვის, რომ თევზი გემბანიდან გადმოეტანა და თავისი პიკაპის ძარაზე დაეტვირთა.

– მე ის კილოგრამი 40 რუპიად გავყიდე და მართალია მას მოგება არ მოუტანია, ეს ისეთი მომგებიანი არ ყოფილა, როგორიც იქნებოდა წვრილი თევზი, რომელიც კილოგრამი 300 რუპიად იყიდება, – განაცხადა ბანგერმა.

მისი თქმით, მეთევზეები ხშირად ზღვაში აბრუნებენ დიდ თევზებს, თუ მათ ცოცხალს დაიჭერენ. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში ეს შეუძლებელი იყო, ვინაიდან სკატი ბადეში გაებლანდა და დაიღუპა.

მერკელი: „ზამთარი რთული იქნება, მაგრამ დასრულდება“

გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი აცხადებს, რომ კორონავირუსის გავრცელების არსებული ტემპი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას დიდ საფრთხეს უქმნის და ნაწილობრივი კარანტინის დროულად დაწესება სწორი გადაწყვეტილება იყო.

– ასეთი დინამიკა რეანიმაციული განყოფილებების რამდენიმე კვირაში გადავსებას გამოიწვევდა. საავადმყოფოების საწოლების გადავსების შემდეგ მოქმედების დაწყება ძალიან დაგვიანებული იქნებოდა, – განაცხადა მერკელმა ბუნდესტაგში სიტყვით გამოსვლისას.

კანცლერის თქმით, მას ესმის პანდემიისა და ახალი შეზღუდვების დაწესებით გამოწვეული იმედგაცრუება, მაგრამ წინ რთული ზამთარია და ვირუსის გავრცელების ტემპის შენელებაში ყველამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს.

– ზამთარი რთული იქნება. წინ 4 გრძელი რთული თვეა, მაგრამ დასრულდება. თავისუფლება არ არის იმის კეთება, რაც გინდა, თავისუფლება პასუხისმგებლობის აღებაა, – განაცხადა ანგელა მერკელმა.

გერმანიაში 2 ნოემბრიდან ეპიდემიის გავრცელების საწინააღმდეგო ახალი შეზღუდვები ამოქმედდება. შეზღუდვების დაწესების შესახებ გადაწყვეტილება ქვეყნის კანცლერმა და რეგიონების ლიდერებმა 28 ოქტომბერს გამართულ შეხვედრაზე მიიღეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ზეცდომამ მამაკაცს ორი მილიონი დოლარი მოუტანა

ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ დირბორნ-ჰაიტის მკვიდრმა შეცდომით ორი ერთნაირი ლატარიის ბილეთი იყიდა და ჯეკპოტი მოხსნა.

56 წლის სამირ მუზახიმმა მობილურ დანართში ლატარიის ბილეთი შეიძინა და მასში თავისი ოჯახის წევრების დაბადების დღეების თარიღები ჩაწერა.

– თარიღების რიცხვების, როგორც ჩემი საყვარელი რიცხვების შენახვა დამავიწყდა, ამიტომ ისევ გავხსენი დანართი და შევინახე ისინი, რათა მომავალშიც გამომეყენებინა გათამაშებებში. იცით რას ვერ მივხვდი, როგორ მოხდა, რომ მეორე ბილეთიც შევიძინე იგივე რიცხვებით, – განაცხადა მამაკაცმა.

როდესაც მუზახიმი მიხვდა, რომ ორი ერთნაირი ბილეთი შეიძინა, განწყობილება გაუფუჭდა. თუმცა მოგვიანებით ამ შეცდომამ მას სიმდიდრე მოუტანა. ის რამდენიმე დღის წინ ისევ შევიდა მობილურ დანართში და შეიტყო, რომ მისმა ორმა ბილეთმა თითო მილიონი დოლარი მოიგო. ამგვარად, საერთო ჯამში, მამაკაცის მოგებამ ორი მილიონი დოლარი შეადგინა.

მუზახიმის თქმით, ის მოგებული თანხის ნაწილით სახლის ყიდვას აპირებს, ხოლო დარჩენილ თანხას საპენსიოდ გადადებს.

უნიტაზში ჩამალულმა პითონმა ქალს უკბინა

ტაილანდში ორმეტრიანმა პითონმა. რომელიც უნიტაზში იყო ჩამალული, ტუალეტში შესული ქალი დაკბინა.

– მე ვერ შევნიშნე, რომ უნიტაზში გველი იყო ჩამალული, – განაცხადა 54 წლის ბუნსონგ პლაიკევმა, – მან იმ დროს მიკბინა, როდესაც ჩემ ბუნებრივ მოთხოვნილებას ვიკმაყოფილებდი.

ქალმა მწვავე ტკივილი იგრძნო, ფეხზე ჩამომდინარე სისხლი შენიშნა და უნიტაზში ხელი ინსტინქტურად ჩაყო. მას თითში იმ წამსვე ჩააფრინდა იქ მჯდომი 2,1 მეტრი სიგრძის პითონი.

ქალმა გველის მოშორება მოახერხა და ტუალეტიდან გამოვარდა, მისმა მეუღლემ კი ტუალეტის კარი ჩაკეტა და გარეულ ცხოველებზე მონადირე სპეციალისტები გამოიძახა. შემთხვევის ადგილზე მისულმა გველებზე მონადირეებმა პითონი უნიტაზიდან ამოიყვანეს და ტომარაში მოათავსეს, მოგვიანებით ბუნებაში გასაშვებად.

გველებზე მონადირეებთან ერთად ადგილზე ასევე მივიდა სასწრაფო სამედიცინო დახმარება. ექიმებმა დაშავებულ ქალს პირველადი სამედიცინო დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს და შემდეგ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მებაღეები საქველმოქმედო კალენდრისთვის გაშიშვლდნენ

დამცავი ხელთათმანების ახალზელანდიელმა მწარმოებელმა ფოტოკონკურსი მოაწყო ბაღში დედიშობილა მუშაობის მოყვარულებისთვის.

კონკურსი შიშველი მებაღეობის დღეს მიეძღვნა, რომელსაც ახალ ზელანდიაში 24 ოქტომბერს აღნიშნავენ. გამარჯვებული ეროვნული შიშველი მებაღის ტიტულს მიიღებს. ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ საუკეთესო სურათებისგან შემდგარ საქველმოქმედო კალენდარს გამოუშვებენ.

კომპანიის წარმომადგენელი სოფი პროსერი ამტკიცებს, რომ კონკურსის მონაწილეებმა რამდენიმე შესანიშნავი ფოტოსურათი გამოუგზავნეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ფოლკლორის ცენტრი გიორგი უშიკიშვილს პასუხობს

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი გიორგი უშიკიშვილს პასუხობს. – „გაჩერებული“ ფოლკლორის ცენტრის 6 წელი, – ასე ეწოდება საჯარო წერილს, რომლითაც ცენტრი მის მიერ განხორციელებული სიახლეების ნუსხას აქვეყნებს:

– ინფრასტრუქტურული პროექტები: განახლებული და სრულად რეაბილიტირებული ფოლკლორის ცენტრის დარბაზი და თანამედროვე ხმის ჩამწერი სტუდია – 2019, ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრი – 1300 კვ.მ მრავალფუნქციური უნიკალური საკონცერტო დარბაზი, ხმის ჩამწერი სტუდია, საგამოფენო დარბაზი – 2018, სალოტბარო სკოლები: მთელი საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს 27 სალოტბარო სკოლა: ბათუმი, ქობულეთი, შუახევი, ოზურგეთი, ბაღდათი, სამტრედია, თელავი, ყვარელი, ამბროლაური, ონი, მესტია, ლენტეხი, ცაგერი, გორი, კასპი, წალენჯიხა, სენაკი, ხონი, თიანეთი, აბაშა, ბორჯომი, ხარაგაული, საჩხერე, დუშეთი, ზესტაფონი, ფოთი, ახალციხე; 2021 წლიდან სკოლები გაიხსნება ზუგდიდში, ვანსა და ახმეტაში, სადაც ბავშვები ქართულ ტრადიციულ სიმღერა-გალობას უფასოდ შეისწავლიან. 900 მოსწავლე, 60 თანამშრომელი.

საერთაშორისო და ადგილობრივი ფესტივალები: ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი – 1000 მონაწილე 14 ქვეყანა. 2016 – თურქეთი, უკრაინა, შვეიცარია, აზერბაიჯანი, 2017 – ესპანეთი, იტალია, პოლონეთი, უკრაინა, სომხეთი, თურქეთი, 2019 – იტალია, საფრანგეთი, პოლონეთი, ლატვია, ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი 28 კონცერტი, 3000 მონაწილე, 15 000 მაყურებელი, 42 გამარჯვებული, 282 ლაურეატი. ფულადი პრემია 78.375 ლარი (2015-2016), სალოტბარო სკოლების ფესტივალი – „მომავლის ხმები“. ფესტივალში მონაწილეობდა 11 სალოტბარო სკოლის ოზურგეთის, წალენჯიხის, ლენტეხის, საჩხერის, ონის, მესტიის, ფოთის, ბათუმის, ზესტაფონის, ქობულეთის, სამტრედიის 400-მდე ბავშვი.

კონცერტები: ბაღია ჩვენი ქვეყანა – თბილისური ანსამბლების კონცერტები რეგიონებში – 30 კონცერტი, ფოლკლორის დღეები – 24 კონცერტი, 40 ანსამბლი, ქართული მრავალხმიანობა საქართველოს სტუმრებს – 15 კონცერტი, 15 ანსამბლი, ხალხური საღამოები – 10 კონცერტი, 13 ანსამბლი, ჰაით ბათუმი – 84 კონცერტი 100-ზე მეტი ანსამბლი (2015-2016), თბილისობა – 4 კონცერტი, 34 ანსამბლი (2014-2015).

ყოველწლიურად, ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის ხალხური პოეზიის საღამო „ლექსო, არ დაიკარგები“, ყოველწლიური კონკურსი სამეცნიერო და შემოქმედებითი მიმართულებით, „შენი ფოლკლორული იდეა“ – 5 გამარჯვებული მონაწილე ყოველწლიურად. პროექტის პირობებში განხორციელდა ორი ექსპედიცია სამეგრელოსა და აჭარაში. პანდემიის პირობებში რამდენიმე პროექტი დროებით შეჩერდა.

გამოცემები: ქართული გალობა – ანთოლოგია (17 ტომი), საქველმოქმედო ფონდ „ქართულ გალობასთან“ ერთად გაციფრდა უნიკალური ქართული ხელნაწერი საგალობლები – 23 658 ერთეული, სპეციალურად ფრანკფურტის ბაზრობისთვის გამოიცა „შენ ხარ ვენახი“ და „შუა საუკუნეების ქართული გალობა“. პარტნიორები ფონდი „ქართული გალობა“ და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, შრომის სიმღერები სანოტო კრებული. პარტნიორი – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, ფრიდონ სულაბერიძე – წიგნი ალბომი, დავით ჯავრიშვილი – ქართული ხალხური ცეკვა, ქართველ ებრაელთა ხალხური სიტყვიერება, ეთერ თათარაიძე – პირმა დაგლოცოთ ღვთისამა, მონოგრაფია – ანდრო სიმაშვილი ფონდი, მონოგრაფია – პოლიკარტე ხუბულავა ფონდი, ეთერ თათარაიძე – დემონოლოგიური თქმულებები, აჭარული ხალხური სიმღერები სანოტო კრებული.

აუდიოალბომები: აჭარული ტრადიციული მუსიკა – ოთხდისკიანი ალბომი, წალენჯიხის ანსამბლ „ბედინერას“ პირველი აუდიოალბომი, წალენჯიხის ანსამბლ „მაფშალიას“ პირველი აუდიოალბომი, ჩოხატაურის მგალობელ-მომღერალთა გუნდის პირველი აუდიოალბომი, ჩოხატაურის ანსამბლ „გურიას“ პირველი აუდიოალბომი, სოფელ მერის ფოლკლორულ ანსამბლ „მოყვარეს“ პირველი აუდიოალბომი, მიხეილ მცურავიშვილის აუდიოალბომი, ფოლკლორული ანსამბლი „ელესა“ ქედა, ანსამბლი ქართლი – საარქივო აუდიოჩანაწერები.

ექსპედიციები: კომპლექსური ექსპედიცია თეთრიწყაროში, რაჭა-ლეჩხუმსა და შუახევში. კომპლექსური ექსპედიცია რაჭაში – შალვა ასლანიშვილის მიერ ჩაწერილი მომღერლების შესახებ ინფორმაციის მოძიება, ექსპედიცია კახეთში – კახური ფოლკლორული ცეკვების შეგროვება, შესწავლა და დამუშავება. სულ 25-ზე მეტი ექსპედიცია.

მასტერკლასები ხალხურ ცეკვასა და სიმღერაში: აჭარული ცეკვის სამდღიანი მასტერკლასი, პოლო ვალიეხოს ხუთდღიანი მასტერკლასი სალოტბარო სკოლების 40 პედაგოგისთვის, გამოფენები – ფოლკლორის ცენტრში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების გამოფენები ეწყობა, საგამოფენო დარბაზში 130-ზე მეტი გამოფენა გაიმართა (2013–2020).

„ხელოვნების ქურუმის“ წოდებით დაჯილდოვდნენ ღვაწლმოსილი ლოტბარები: პოლიკარტე ხუბულავა, ანდრო სიმაშვილი, გური სიხარულიძე, ისლამ ფილფანი, ჯემალ ჭკუასელი, ეროდი ტიკარაძე.

საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა ღირსების მედლით დააჯილდოვა ფოლკლორის ცენტრის თანამშრომლები ბაია ასიეშვილი და ნანა კალანდაძე.

2020 დისტანციური სამუშაო რეჟიმის დროს განხორციელებული ღონისძიებები/აქტივობები: „ხალხური საღამოები“ – 5 ანსამბლის სოლო კონცეტი ფოლკლორის ცენტრის ეზოში, ორთვიანი დისტანციური პროექტი „ფოლკლორი შენთვის“ – საოჯახო ანსამბლების სასიმღერო შესრულება მთელი საქართველოდან, ბათუმის სალოტბარო სკოლაში სწავლა აღდგა, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა ელექტრონულად 50-მდე წიგნი, 4000-ზე მეტი აუდიოჩანაწერი, ცენტრისა და სხვადასხვა არქივში დაცული უნიკალური ქართული გალობის ხელნაწერები საკუთარ ვებგვერდზე განათავსა, ცირა ქვლივიძის გამოფენა, ხელოვნების სასახლის უკვდავების თაღს ჯემალ ჭკუასელის ხელის ანაბეჭდი შეემატა, საერთაშორისო სიმპოზიუმი – „აბრეშუმის გზის ქვეყნების ფოლკლორი“, მუშავდება ელექტრონული წიგნების ანდროიდ აპლიკაცია, რომლის საშუალებითაც მსურველებს საკუთარ სმარტფონებში, ასევე, შეეძლებათ გაეცნონ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და სხვა ორგანიზაციების გამოცემებს: ქართული სიმღერის, გალობის, ცეკვის, ზეპირსიტყვიერების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს, ანზორ ერქომაიშვილის 80 წლის იუბილე, მზადება კომპლექსური ექსპედიციისათვის – ზემო სვანეთი, ცენტრის დირექტორის გიორგი დონაძის ყოველკვირეული ონლაინშეხვედრები სალოტბარო სკოლის ბავშვებთან და პედაგოგებთან.

საარქივო მასალების ჩვენება: ფილმი – შავი ზღვის ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი 2017, შუახევის კომპლექსური ექსპედიციის ვიდეოჩანაწერები, ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის ხალხური პოეზიის საიუბილეო საღამო – „ლექსო, არ დაიკარგები“, ფილმი – ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „საქართველოს“ 2019, სვანური ტრადიციული მუსიკის საღამო – მიჟე ნარი – 2016, ფილმი – საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი 2015-2016, ფილმი – „მომავლის ხმები“ სალოტბარო სკოლების ფესტივალი.

2014-დან 2020-წლამდე ფოლკლორის ცენტრის შემოქმედებით პროექტებსა და ინფრასტრუქტურულ სამუშაოებში დაიხარჯა 4.614.001 ლარი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბარსელონამ იოლად მოიგო, ალვაროს ვარმა უარი უთხრა

ე ჯგუფი

ჯრასნოდარი-ჩელსი 0:4

0:1 ჰალსონ-ოდოი (37), 0:2 ვერნერი (76პ), 0:3 ზიეჩი (80), 0:4 პულიშიჩი (90)

ამ მატჩის ფავორიტ ლონდონელებს პირველ ტურში ფრე ჰქონდათ ნათამაშები, ამიტომ ქულების დაკარგვა მათ გეგმებში არ შედიოდა. გუნდმაც სწორედ ისე ითამაშა, როგორც სჭირდებოდათ.

მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისშივე ჩელსიმ პენალტი ვერ გაიტანა, პრობლემები მაინც არ შექმნია და საკმაოდ იოლად მოიგო.

სევილია-ჰენი 1:0

1:0 დე იონგი (58)

სევილია უპირატესობას ფლობდა, მაგრამ მისი გოლად ქცევა თითქმის საათი გაუხანგრძლივდა. თუმცა, საბოლოოდ, დე იონგის გოლით იმარჯვა და მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა.

ფ ჯგუფი

დორტმუნდი-ზენიტი 2:0

1:0 სანჩო (78პ), 2:0 ჰოლანდი (90)

რუსული გუნდი დორტმუნდს დიდხანს უძალიანდებოდა, მაგრამ გერმანელთა მასირებულ იერიშებს მაინც ვერ გაუძლეს და ბოლო 12 წუთში ჯეიდონ სანჩომ და ერლინგ ჰოლანდმა საკუთარ გუნდს მიმდინარე ტურნირზე პირველი ქულები მოუტანეს.

ბრიუგე-ლაციო 1:1

0:1 კორეა (14), 1:1 ვანაკენი (42პ)

რომის ლაციო ბელგიას განახევრებული შემადგენლობით ესტუმრა – რამდენიმე ფეხბურთელს კორონავირუსი დაუდგინდა. შედეგად, მანამდე ფავორიტად მიჩნეული ლაციო აუტსაიდერად იქცა. თუმცა, იგებდა თავიდან, მაგრამ მაგრამ საბოლოოდ ფრეს დასჯერდა.

ჯ ჯგუფი

იუვენტუსი-ბარსელონა 0:2

0:1 დემბელე (14), 0:2 მესი (90პ)

დღის ცენტრალური მატჩი ტურინში გაიმართა – იუვენტუსმა ბარსელონას უმასპინძლა და უშანსოდ წააგო.

ბარსელონამ გაილაღა, სტუმართა ნახევარმცველები და შემტევები რასაც უნდოდათ, იმას აკეთებდნენ. შედეგად, კატალონელები მალევე დაწინაურდნენ – უსმან დემბელეს გასროლა ფედერიკო კიეზას მოხვდა და კარში ჩაეშვა.

იუვემ ერთ წუთში გაათანაბრა, მაგრამ ალვარო მორატას გოლი თამაშგარეს გამო ვარ-მა გააუქმა. ესპანელმა კიდევ 2-ჯერ გაიტანა, მაგრამ ვიდეორეფერემ არც ის გოლები ჩაუთვალა. სულ ეს იყო, მორატას 3 გოლი, იუვენტუსს მეტი არაფერი გაუკეთებია. მორატა ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში პირველი ფეხბურთელი გახდა, რომელსაც ერთ თამაშში 3 გოლი არ ჩაუთვალეს.

მატჩის მიწურულს მერიჰ დემირალი გააძევეს, მერე პენალტი დაინიშნა, რომელიც ლიონელ მესიმ გაიტანა და 2:0.

ფეჩენცვაროში-დინამო (კ) 2:2

0:1 ციგანკოვი (28პ), 0:2 დე პენა (41), 1:2 ნგუენი (59), 2:2 ბოლი (90)

ამავე ჯგუფის მეორე მატჩში კიევის დინამო სტუმრად „ფერენცვაროშს“ 2:0-ს უგებდა, მაგრამ უნგრელებმა ქულა მაინც მოიპოვეს. 86-ე წუთიდან ითამაშა ლაშა დვალმა და მისმა გუნდმა მეორე გოლი მისი წაქცევისთვის დანიშნულ ჯარიმას მოჰყვა. შემდეგ თავადაც გაიტანა, მაგრამ არ ჩაუთვალეს.

ჰ ჯგუფი

მანჩესტერი-ლაიფციგი 5:0

1:0 გრინვუდი (21), 2:0, 3:0 რაშფორდი (76, 78), 4:0 მარსიალი (87, პენ), 5:0 რაშფორდი (90)

შთამბეჭდავად ითამაშა მანჩესტერ იუნაიტედმა, რომელმაც საკუთარ მოედანზე შარშანდელი ნახევარფინალისტი და ამბიციური ლაიფციგი 5:0 გაანადგურა. ბრწყინვალე იყო მარკუს რაშფორდი, რომელიც შეცვლაზე ჩაერთო თამაშში და ჰეთ-თრიქი გაიფორმა.

ბაშაჯშეჰირი-პსჟ 0:2

0:1, 0:2 კინი (64, 79)

ამავე ჯგუფში პარი სენ ჟერმენმა მე-2 ტაიმში გატეხა თურქული ბაშაქშეჰირი და მოიზე კინის დუბლით აჯობა – 2:0.

სხვათა შორის, კინი ყველაზე ახალგაზრდა იტალიელი გახდა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაზე ძირითადი შემადგენლობიდან დაწყებულ პირველივე მატჩში გოლი გაიტანა და მან ალესანდრო დელ პიეროს 1995 წელს მიღწეული შედეგი გააუმჯობესა.

შედეგები

28 ოქტომბერი
ფეხბურთი

ეუფას ჩემპიონთა ლიგა

კრასნოდარი-ჩელსი	0:4
სევილია-რენი	1:0
დორტმუნდი-ზენიტი	2:0
ბრიუგე-ლაციო	1:1
ფერენცვაროში-დინამო	(კ)2:2
იუვენტუსი-ბარსელონა	0:2
ბაშაკშეჰირი-პსჟ	0:2
მანჩესტერი-ლაიფციგი	5:0

ცოტა გოლი, ბევრი გაძევება

თელავი-საბურთალო 1:1

თელავი. კავკასიონი არენა

0:1 მარგველაშვილი (8), 1:1 რუხაძე (16)

თელავი: სანიკიძე, მაგრაქველიძე, ბერიაშვილი, დიმიტროვსკი, ძოწენიძე, ბაჩიაშვილი, მ.ბაშელეიშვილი, ნ.ბაშელეიშვილი, მოისწრაფიშვილი (სამუშია 73), რუხაძე, პოღოსიანი (ჯიქია 75)

საბურთალო: ლ.კუპატაძე, მალი, მარგველაშვილი, გრიგალაშვილი, კაკუბავა, მაჭარაშვილი (ნაზარე 86), ტერა, ალთუნაშვილი, ბუმალი, ქავთარაძე, გულიაშვილი (დ.კუპატაძე 90)

გაძევება: მ.ბაშელეიშვილი (90), რუხაძე (90), ლ.კუპატაძე (90)

ეროვნული ლიგის მე-14, კორონავირუსით ნაკლული ტურის ბოლო შეხვედრაში თელავმა საკუთარ მოედანზე საბურთალო მიიღო.

მატჩი სტუმართა აქტიურობით დაიწყო და უკვე მე-8 წუთზე საბურთალო გაგი მარგველაშვილის მიერ გატანილი გოლით დაწინაურდა. გაშვებუული გოლის შემდეგ თელაველებმა შეუტიეს და მე-16 წუთზე წონასწორობა ირაკლი რუხაძემ თავურით აღადგინა.

შეხვედრის სტარტი იძლეოდა იმის ფიქრის საფუძველს, რომ თამაში უხვგოლიანი იქნებოდა, თუმცა გოლის გატანა გუნდებმა ვერ შეძლეს იმის მიუხედავად, რომ ორივე კართან შეიქმნა რეალური საგოლე მომენტები.

სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე 3 ქულა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო როგორც თელავისთვის, ისე საბურთალოსთვის. ამ ფაქტორის გათვალისწინებით მატჩის მიწურულს დაძაბულობამ იმატა. მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში თელავი მიხეილ ბაშელეიშვილის უხეშობის შემდეგ კაცნაკლული დარჩა, თამაშის განსანახლებლად ბურთისთვის დავას კი ჩხუბი მოჰყვა, რომელიც კარგა ხანს გაგრძელდა, რასაც ლაზარე კუპატაძისა და ირაკლი რუხაძის გაძევება მოჰყვა.

საბოლოო, ფრე.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	13	7	5	1	23-10	26
2.დინამო (თბ)	12	7	4	1	22-6	25
3.დილა	13	6	6	2	23-9	24
4.საბურთალო	14	5	6	3	21-14	21
5.ლოკომოტივი	12	5	4	3	19-15	19
6.თელავი	14	2	10	2	11-10	16
7.ტორპედო	13	4	4	5	13-19	16
8.სამტრედია	14	4	4	6	10-18	16
9.მერანი	14	0	6	8	4-21	6
10.ჩიხურა	14	1	3	10	13-37	6

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ცნობისმოყვარე ბიჭმა ოჯახს წინაპრის ხმალი დაუბრუნა



245 წლის ხმალი. რომელიც ამერიკის რევოლუციის დროს გამოიყენებოდა კანადის ახალი შოტლანდიის პროვინციაში, 191 წლის შემდეგ მისი თავდაპირველი მფლობელის ოჯახს 12 წლის ცნობისმოყვარე ჩილელი ბიჭის წყალობით დაუბრუნდა.

12 წლის სემ მარშალი, რომელიც ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში ცხოვრობს, სამხედრო წარსულითაა დაინტერესებული. მისმა პაპა ჯეკ მარშალმა, რომელიც კანადის ქალაქ კალგარიში ცხოვრობს, ძველი სკოლის მოხსენება იპოვა, რომელიც ბავშვობაში მამამისმა სემმა მათი წინაპრის ჯოზეფ მარშალის თაობაზე შეადგინა და შვილიშვილს გამოუგზავნა.

კაპიტანი ჯოზეფ მარშალი ბრიტანეთის კავალერიის პოლკის ერთ-ერთი კალიფორნიელი რეინჯერი იყო, ამერიკის რევოლუციის დროს და გაგზავნილი იყო დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთა ამბოხების ჩასახშობად.

მოხსენების წაკითხვის შემდეგ სემმა ინტერნეტში საკუთარი ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიება დაიწყო. მან იპოვა სტატია ჟანგიან ხმალზე, რომელიც სახლის შეკეთების სამუშაოების დროს კანადის ახალი შოტლანდიის პროვინციაში გაისბოროში სახლის კედელში იქნა ნაპოვნი. სტატიაში ნათქვამი იყო, რომ ის კაპიტან მარშალს ეკუთვნოდა.

მარშალების ოჯახისთვის ცნობილი იყო, რომ ამერიკის რევოლუციის შემდეგ კაპიტანი მარშალი გაისბორში დასახლდა, იქ შექმნა ოჯახი და მოსამართლე გახდა.

ჯეკ მარშალი დაუკავშირდა გერიორის ოჯახს, რომელმაც ხმალი იპოვა და ისტორიული ნივთი 1250 კანადურ დოლარად გამოისყიდა.

მამაკაცმა სხეული ფუტკრებით დაიფარა და გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა

ჩინეთის ცზიანსის პროვინციის იჩუნის ოლქში მამაკაცმა სხეული 63 კილოგრამი ცოცხალი ფუტკრით დაიფარა და ისტორიაში შევიდა, მისი მიღწევა გენესის რეკორდების წიგნში შევიდა.

ჟუან ლიანმინმა მსოფლიო რეკორდი მას მერე დაამყარა, როდესაც მისი სხეული ფუტკრების უზარმაზარმა გუნდმა დაფარა. თვითმხილველის მიერ გადაღებული ვიდეოს კადრებში ჩანს, თუ როგორ აყრიან მამაკაცს, რომელსაც არანაირი დამცავი კოსტიუმი არ აცვია, დიდი ჯამებით მწერებს. ფუტკრებმა სრულად დაფარეს ლიანმინი და ის უზარმაზარ ყავისფერ ქანდაკებას დაამსგავსეს. ვიდეორგოლში ბოლო წუთებში ჩინელმა თავი გააქნია, რათა სახიდან მწერების გუნდი ჩამოეფერთხა.

ამ ყოველივეს თვალს ადევნებდნენ გენესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლები. როდესაც მიღწევა დაფიქსირეს, საგანგებოდ მომზადებულმა ხალხმა ლიანმინი ფუტკრების გუნდისგან გაწმინდეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 2. სამეჯლისო ცეკვა; 3. ფერადი გაუმჭვირვალე შუშის პატარა ნაჭრები მოზაიკური სამუშაოებისთვის; 4. შავი ზღვის ძველბერძნული სახელწოდება; 6. ჰოლივუდის ავსტრალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 8. ციტრუსოვანი მცენარე, თურინჯის მეორე სახელწოდება; 10. შავი ზღვის სანაპიროზე გავრცელებული გუტაპერჩის შემცველი სწრაფად მზარდი ჩინური ხე; 12. საკერავი მანქანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 14. ცხენის მოსართავი; 15. უბანი თბილისში; 16. ამერიკული სამხედრო მოიერიშე ვერტმფრენების სერია.

თარაზულად: 1. კომბინაცია პოკერში; 4. ქცევაში, ლაპარაკში გამოხატული დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე; 7. ებრაელთა ახალი წლის სახელწოდება; 9. მხარე ავსტრიაში; 11. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 12. მწვანე ფერის ძვირფასი ქვა; 13. ბადმინტონის სათამაშო ბურთი; 17. აეროპორტი პრაღაში; 19. სისხლის სამართლის დანაშაული; 20. მთავრობის წევრი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. გუდაური; 2. ალილო; 3. ბაბუშერა; 4. უოტსონი; 5. გარპაგონი; 9. ახტალა; 12. დუაიენი; 14. კოპოლა; 15. პაპი; 17. კასტა; 18. არია.

თარაზულად: 6. ჯუღელი; 7. ვალტორნა; 8. შანელი; 10. პოლკა; 11. ვინჩესტერი; 13. აკროპოლი; 16. კულაკი; 19. რენეგატი; 20. მაშავერა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჯანი; 2. იურტა; 3. ბრინჯი; 5. ყანწი; 6. ჭიაურელი; 8. იანქოშვილი; 10. ლიპტონი; 12. სატრაპი; 14. ფლეიტა; 15. ბეტისი; 16. სეიკო.

თარაზულად: 1. ჯორჯია; 4. ტყაპუჭი; 7. უჯრედი; 9. ჯეჯილი; 11. ანაკლია; 12. სკალპელი; 13. სტრიტი; 17. მელაძე; 18. კილი; 19. ოპტიმიზმი; 20. ლინოტიპი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

30 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2345

ევრო — 3.7970

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1958

100 რუსული რუბლი — 4.1230

ამინდის პროგნოზი 30 ოქტომბრისათვის

პოგბა: „მანჩესტერ იუნაიტედი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა“

მანჩესტერ იუნაიტედმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გერმანული ლაიპციგი საკუთარ მოედანზე 5:0 დაამარცხა. ასეთ შედეგს ბევრი არ ელოდა და პოლ პოგბას თქმით, მის გუნდს სათანადოდ არ აფასებენ.

პოგბამ მომავალზეც ისაუბრა და თქვა, რომ მანჩესტერი პროგრესირებს და მომავალში კიდევ უფრო უკეთეს შედეგს აჩვენებს:

– ბევრი ექსპერტი ჩვენს შესაძლებლობებს სათანადოდ არ აფასებს და ჩვენ მათ ბევრჯერ დავუმტკიცებთ, რომ ისინი ცდებიან. მიხარია, რომ ლაიპციგი დამაჯერებლად დავამარცხეთ.

პიკე: „იუვენტუსთან მოგება იოლი არასოდესაა“

ბარსელონამ სტუმრად ტურინის იუვენტუსი 2:0 დაამარცხა და თავის ჯგუფში ლიდერობა გაიმყარა. შეხვედრაში დისკვალიფიკაციის გამო მონაწილეობა არ მიუღია ჟერარ პიკეს, რომელმაც მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ იუვენტუსის დამარცხება იოლი არ არის და ეს ძალიან კარგი შედეგია:

– მიხარია, რომ ტურინში გამარჯვება მოვიპოვეთ, რადგან იუვენტუსი ჩვენთვის ყოველთვის უხერხული მეტოქე იყო. იმედი მაქვს, შემდეგ მატჩებშიც მოვახერხებთ წარმატებით ასპარეზობას.

ხუან სებასტიან ვერონი: „მესი საუკეთესო ფორმაში არ არის“



არგენტინელი ფეხბურთის ლეგენდამ ხუან სებასტიან ვერონმა ლიონელ მესიზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ამჟამად იდეალური ფორმისგან შორს არის და შესაძლოა ძველი კონდიციები ვეღარც აღიდგინოს, რაც ასაკის ბრალია:

– მესის თამაში ამჟამად ისეთი არ არის, როგორც ადრე და ამას ბევრი მიზეზი აქვს. ერთ-ერთი მიზეზი ბარსელონაში მიმდინარე მოვლენებია და ლეოს ასაკიც არ უნდა დაგვავიწყდეს. ვფიქრობ, მას ძველი ფორმის დაბრუნება გაუჭირდება, თუმცა ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

აგრესიული ბეჰემოთი სკოლის მოსწავლეს თავს დაესხა

კენიის სიაიაიას ოლქის ქალაქ ბონდოში ბეჰემოთი მოსწავლეს თავს დაესხა და ფეხი დაუზიანა.

15 წლის ოსტინ ონიანგო მეგობრებთან ერთად ტბის ნაპირზე ისვენებდა. მოულოდნელად წყლიდან ბეჰემოთი ამოვიდა და მოზარდს თავს დაესხა.

აგრესიულმა ცხოველმა ონიანგოს ფეხზე დაზიანება მიაყენა. ამის შემდეგ ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, საჭირო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს და სახლში გაუშვეს.

დაშავებული მოზარდის მამამ, სიაიაიას ოლქის პლაჟების სამმართველოს თავმჯდომარემ, მეშაკ ოკუკუმ განაცხადა, რომ ოლქის მრავალი პლაჟისთვის ბეჰემოთები საფრთხეს წარმოადგენენ.

– ჩვენ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, ჩაერიონ და თავდასხმები აღკვეთონ, – ხაზგასმით აღნიშნა მან. ოკუკუ თვლის, რომ კენიის ველური ბუნების დაცვის სამსახურმა აუცილებლად უნდა გამონახოს საშუალება აგრესიული ცხოველების გასაკონტროლებლად.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

30 ოქტომბრისათვის

ვერძი – სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ ძლიერია. ჩანაფიქრის რეალიზებას უპრობლემოდ მოახერხებთ. **კურო** – დღის დევიზია მაქსიმალური თავშეკავება. კონფლიქტის თავიდან აცილებას მხოლოდ ამგვარად მოახერხებთ. **ტყუპები** – თუ გსურთ, მიზანს მიაღწიოთ, არ იზარმაცოთ. ყველაფერი მხოლოდ თქვენს შრომისმოყვარეობაზეა დამოკიდებული. **კირჩხიბი** – დღეს უნიკალური შანსი გეძლევათ, ოცნებები აიხდინოთ. ხშირად გაიღიმეთ. **ლომი** – პირად ცხოვრებაში ცვლილებები შეინიშნება. მთავარია, სადმე შეცდომა არ დაუშვათ. **ქალწული** – ნუ იქნებით კატეგორიული. მეტი თავშეკავება, სირბილე და დათმობის უნარი გჭირდებათ. **სასწორი** – მეგობრები დაუფიქრებლად დაგეხმარებიან. იყავით გახსნილი, მშვიდი, ერიდეთ კამათში ჩართვას. **ღრიანკალი** – დღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. ეცადეთ, სულიერი წონასწორობა შეინარჩუნოთ. **მშვილდოსანი** – ფინანსებს გაუფრთხილდით. პირად ცხოვრებაში დაძაბულობა იჩენს თავს. გარშემომყოფებს მეტი სითბო აჩუქეთ. **თხის რქა** – ელოდეთ სასიამოვნო სიურპრიზს. შესაფერისი დღეა პირად ცხოვრებაში ცვლილებების შესატანად. **მერწყული** – ჰარმონიული დღეა. წვრილმან უსიამოვნებებს ყურადღებას ნუ დაუთმობთ. **თევზები** – მშვიდად იმუშავეთ. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. თქვენი რჩევები დღეს არავის სჭირდება.

გისუჩვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– რა დაგემართა, ხმაზე რა გჭირს?

– სანამ ქმარს ვუმტკიცებდი, რომ დუმილიც შემიძლია, ხმა ჩამიწყდა...

●●●

ქალი ტელეფონზე რეკავს და კითხულობს:

– ალო, ეს ქალთა კონსულტაციაა?

– დიახ, რითი შეგვიძლია დაგეხმაროთ?

– მითხარით, რომელია მუხრუჭის სატერფული, მარჯვენა თუ მარცხენა?

●●●

ახალწვეულთა ყაზარმაში ოფიცერი შედის და კითხულობს:

– თქვენ შორის რომელი ერკვევა ელექტრობაში?

– მე! – უპასუხა ერთ-ერთმა ახალწვეულმა.

– რა გაქვს დამთავრებული?

– ტექნიკური სასწავლებელი წითელ დიპლომზე.

– გამოდგება, გევალება თვალი ადევნო, რომ შუქი ზუსტად 22:00 საათზე ჩააქრონ!

●●●

ორი დაქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ჩემი ზღვის გოჭისთვის ავტომატური წყლის ჩამოსასხმელი ვიყიდე. აღმოჩნდა, წყალი რომ ჩამოასხას, ღილაკზე დაჭერაა საჭირო. როგორ გგონია, ზღვის გოჭი მიხვდება?

– იცი რა... ზღვის გოჭები ჭკვიანები არიან. შენ ხომ მიხვდი!

– ქმარმა მაჩვენა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლიკა ქავჟარაძე 61 წლის გახდებოდა

ქართული კინოს მშვენება ლიკა ქავჟარაძე 61 წლის გახდებოდა. ულამაზესი მსახიობი 3 წლის წინ გარდაიცვალა.

მიუხედავად იმისა, რომ ლიკას ბევრ ფილმში არ უთამაშია, მისი სამუდამოდ შეყვარება მაყურებელმა მაინც შეძლო. თენგიზ აბულაძის „ნატვრის ხეში“ ნათამაშევი მარიტა მისი შემოქმედების სავიზიტო ბარათად იქცა.

– ბედნიერი ვარ, მარიტას ნუ მადარებთ, ბევრი სიხარული მაქვს და ნუ მატრაგიკულებთო, – ამბობდა ლიკა ქავჟარაძე:

–„ნატვრის ხეს“ დიდი პოპულარობა მოჰყვა. მაშინ 15 წლის ვიყავი, ძალიან პატარა და უცებ თეირანში აღმოვჩნდი ფესტივალზე. რაღაცები შევიკერე, რაღაცები ვითხოვე მეგობრებისგან, გამოვიპრანჭე და წავედი. არ ვიცი, საიდან გაიგო თენგიზმა, მაგრამ იქ ყოფნისას მითხრა, მგონი შაჰის შვილს უნდა შენი მოტაცებაო. მე შემეშინდა, მართლა შემეშინდა,... მე ხომ შეყვარებული არც მყოლია. არ ვიცი რატომ, არასდროს მაინტერესებდა ეგ ამბავი. ღამის 4 საათი იქნებოდა. ვიწექი და თომას მანს ვკითხულობდი. ის ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ავტორია. უცებ კარზე ჩხაკუნი გავიგე, თითქოს ვიღაცა აპირებდა გაღებას. ღმერთო, როგორი კვილი მოვრთე,... თენგიზს დავურეკე. საწყალი თენგიზი. როგორც კი რამე არ მომეწონებოდა, ვურეკავდი, მიშველეთქო, – ასე იხსენებდა „ნატვრის ხის“ გადაღებებს და ფილმის შემდგომ ცხოვრებას მსახიობი.

სოფო გელოვანმა კორონა ვირუსი დაამარცხა

მომღერალმა სოფო გელოვანმა კორონა ვირუსი დაამარცხა.

ინფორმაცია ამის შესახებ მომღერალმა სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა:

– დასრულდა ჩემსკენ კოვიდ დღეები. ვუბრუნდები ჩვეულ რითმს. ჯანმრთელობას გისურვებთ. მადლობა თანადგომისთვის!

ფოლადაურში თამარ მეფის ხიდი გადასარჩენია

ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ფოლადაურის ხეობაში მდებარეობს თამარ მეფის ხიდი, რომელსაც გადაუდებელი სარესტავრაციო სამუშაოები ესაჭიროება. ინფორმაცია დეკანოზმა ილია ჭიღლაძემ გაავრცელა:

– თამარის ხიდი მდინარე ფოლადაურზე, ფოლადაურის ხეობაში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში. ხიდს სჭირდება გადაუდებელი სარესტავრაციო სამუშაოები, რათა გადარჩეს. დაზიანებულია და გასამყარებელია ხიდის აყრილი, გაბალახებული ზედაპირი. აღმოსავლეთ საქართველოში სულ ორი თამარის ხიდი ვიცი, რკონის და ეს, ფოლადაურის ხიდი, ამდენად, მისი დაცვა განსაკუთრებული აუცილებლობისაა.

„ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“ ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმში გათამაშდება

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი ოტია იოსელიანის ნაწარმოების „ექვის შინაბერა და ერთი მამაკაცი“ მიხედვით დადგმულ სპექტაკლს წყალტუბოში, მწერლის სახლ-მუზეუმის ეზოში ითამაშებს.

სპექტაკლს მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი დგამს და მასში მონაწილეობას მიიღებენ ზურაბ ბერიკაშვილი, ია შუღლიაშვილი, ქეთი ცხაკაია, ანო მღებრიშვილი, ნათია კუპატაძე, თამარ მამულაშვილი და ნინო ანდრიაძე.

სპექტაკლი ოტია იოსელიანის ხსოვნას ეძღვნება და საპრემიერო სპექტაკლი ყველა რეგულაციის დაცვით იქნება წარმოდგენილი.

გოგიტა გოგიძეს ფანებმა ავტომობილი აჩუქეს

მომღერალ გოგიტა გოგიძეს მისმა ერთგულმა ფანებმა ავტომობილი აჩუქეს. საჩუქარი მომღერალმა დაბადების დღეზე მიიღო.

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქართული სიმღერის „არ წახვიდე, არ დამტოვოს“ ავტორს გაბაფთული ავტომობილი ერთგულმა მსმენელებმა საზეიმოდ გადასცეს.

მომღერალმა სადაბადებისდღეოდ უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში; 2. ფულის ერთეული სომხეთში; 3. მდინარის საშუალო წლიური დონე; 4. ფსიქიკური დაავადების უმძიმესი ფორმა, როდესაც ავადმყოფი დუმს, არ მოძრაობს, არ რეაგირებს ტკივილზე; 5. სამხატვრო გამოფენის გახსნა; 9. სამონასტრო კომპლექსი ახმეტის რაიონში; 12. ლიბანის დედაქალაქი; 14. თანამდებობის პირისთვის მოსასყიდად გაცემული თანხა; 15. იტალიელი მოდელიორი; 17. წამლის გამოშვების ერთ-ერთი ფორმა; 18. მარიონეტული თოჯინების სამართავი მოწყობილობა.

თარაზულად: 6. სხვადასხვა პოპულარული მოტივებისგან შექმნილი მუსიკალური ნაწარმოები; 7. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 8. შრომის, ცხოვრების, დასვენების, კვების მტკიცედ დადგენილი წესი; 10. ამერიკული ავტომობილი; 11. მეტალურგიაში გამდნარი თუჯიდან ფოლადის მიმღები აპარატი; 13. გეომეტრიული რვაკუთხედი; 16. აეროპორტი ნიუ იორკში; 19. გარემომცველ პირობათა ერთობლიობა; 20. მთავარი ქრისტიანული მღვდელმსახურება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა